ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 21 მარტი, 2023 №56 (9092) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბადრი ესებუა ავთანდილ გალდავას — „მინდა, მოგილოცოთ ჩემი დაკავება“**



გვ.5



გვ.5

**რატი ბრეგაძე: „მიხეილ სააკაშვილის, როგორც პატიმრის, არცერთი უფლება დარღვეული არ ყოფილა“**

# „ივანიშვილს თავისი შეთქმულებებით ქვეყანა 90-იანი წლებისკენ მიჰყავს“



გვ.2

კახა ქემოკლიძე: „ის, ვინც ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს“





გვ.3

გედევან ფოფხაძე: „რატომ დანიშნეს ამილახვარი და რატომ გაწირეს ჩხენკელი?! ფუჭი გადაადგილება“

# „კობახიძე თვითგადარჩენისთვის იბრძვის“



გვ.4

**რა შემთხვევაში აუფეთქდება კრემლს ჩრდილოეთი კავკასია**

რუსეთის სპეცსამსახურებმა კრემლის ერთგული კადიროვიც მოწამლეს?

**გორში ავარიას 50 წლამდე კაცი ემსხვერპლა**



გვ.4



გვ.4

**ბაიდენი პუტინს ბრალს სდებს**



**ღარიბაშვილმა განათლების მინისტრად გიორგი ამილახვარი დანიშნა**

გვ.3

მთავრობის სხდომაზე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზეც იმსჯელეს გვ.2



გვ.4

**პოლიციამ მაღაზია „დელფოსის“ გაძარცვის ფაქტზე უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავა**



გვ.5

**სამი წლის გოგონამ და შემთხვევით პისტოლეტით მოკლა**



გვ.7

**ბორჯღალოსნები რაგბი ევროპის ჩემპიონები მეთხუთმეტედ გახდნენ**

1993230720223

**4** კახეთში ავარიის შედეგად ქალი დაიღუპა

**6** მამაკაცმა საავტომობილო გზაზე ხელით დიდი თევზი დაიჭირა

**5** ქალმა ქმარს ლატარიაში მოგება დაუმალა და სხვა მამაკაცთან წავიდა

**6** რატომ გასცა ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ პუტინის დაპატიმრების ორდერი?!

# „ივანიშვილს თავისი შეთქმულებებით ქვეყანა 90-იანი წლებისკენ მიჰყავს“

## კახა ქემოკლიძე: „ის, ვინც ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.



***– ბატონო კახა, მოარული ხმები გამართლდა და პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას განათლების ახალი მინისტრი წარუდგინა. მიხეილ ჩხენკელი გიორგი ამილახვარმა შეცვალა. ამბობენ, რომ ეს არის მძიმე ხელი განათლების სისტემაში, აჯანყებული სტუდენტებისა და ლექტორების დასასჯელად მისული. თქვენ რას იტყვით, რა ჩაიფიქრა „ქართულმა ოცნებამ“?***

– მე ვფიქრობ, ბატონი ამილახვარის დანიშვნა, ემსახურება სწორედაც გამიზნულ ახალი პოლიტიკის შეთავაზებას, რომელიც „ქართული ოცნების“ მთავრობას ექნება დღეს განათლების სისტემასთან. მათ მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, რომელიც სულ ახლახან დაფიქსირდა, ძალიან მძიმე დარტყმა იყო მათთვის. ჩემი აზრით, ეს არასწორი ანალიზია და შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული.

***– რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ იმას, რომ ნებისმიერი აგრესიული ჩარევა განათლების სისტემაში როგორც პედაგოგების, ისე სტუდენტების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების დონეზე შეიძლება კიდევ უფრო მეტ აგრესიაში გადაიზარდოს და, საბოლოო ჯამში, ჩვენ მივიდეთ ვითარების კიდევ უფრო რადიკალიზებამდე. დარწმუნებული ვარ, ამ საკითხებში აქტიურად იქნებოდა ჩართული ბიძინა ივანიშვილი და ისინი წავიდოდნენ ძალიან ღრმა კონსპირაციული თეორიებით, სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფი როგორ ცდილობს ახალგაზრდების გონების ცვლილებას. ეს არის სწორედაც ის ღრმა კონსპირაციული თეორიები, რითაც ცხოვრობს და იკვებება ბატონი ივანიშვილი ბოლო პერიოდის განმავლობაში და რაც ძალიან მძიმეა ზოგადად ქვეყნისთვის, რომ მას პირდაპირ გავლენა აქვს პრემიერზე, ხელისუფლებაზე და, შესაბამისად, ეს მათ ქმედებებში აისახება მოგვიანებით.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ საკადრო ცვლილებები აუცილებლად გაგრძელდება, ასევე, უმრავლესობის დეპუტატები ტოვებენ პარლამენტს. საპარლამენტო უმრავლესობა ხომ არ დაეშლება ივანიშვილს?***

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ივანიშვილს უმრავლესობა დაეშლება. გამომდინარე იქიდან, რაც მართალია, უნდა ვაღიაროთ, რომ მან ეფექტიანად მოახდინა ძირითადი ბირთვის ამ მონურ ვერტიკალურ მმართველობაში ჩაბმა. რატომ? იმიტომ, რომ ეს ადამიანები, ერთეულების გამოკლებით, საბოლოო ჯამში, საზრდოობენ სხვადასხვა ფინანსური დივიდენდით, კონფორმიზმით, თანამდებობებით, რომლებიც მთავრობაში ყოფნას თან ახლავს და ახასიათებს. შესაბამისად, ეს ადამიანები, დარწმუნებული ვარ, 2024 წლამდე, დიდი ალბათობით, გააგრძელებენ ამ მონურ მორჩილებას, რომელიც მათ აქვთ ბატონი ივანიშვილის მიმართ.

### „კომიკურია, როცა მარგველაშვილი მერაბიშვილსა და გახარიას ერთმანეთს ადარებს“

***– ირაკლი კოვზანაძემ უკვე დატოვა პარლამენტი.***

– დარწმუნებული ვარ, სხვებიც დატოვებენ, თუმცა პოლიტიკური გამბედაობა მაინც იზომება იმით, რომ თუნდაც საკუთარ კომფორტს გვერდზე გადადებ და შენს გამოცდილებას, ცოდნას, იმ ნდობას, რომელიც მოსახლეობამ მოგანიჭა, მოგცა მანდატი, მოახმარ უკვე ქვეყნის განვითარებას და ამ რთულ დროში მისი სწორი მიმართულებით წაყვანას. დღეს პარლამენტის დატოვება ადვილია, რადგან ნაკლები პრობლემები შეექმნებათ. ეს ადამიანები ინდივიდუალურად იღებენ გადაწყვეტილებას და ნებისმიერი გადაწყვეტილება არის მათი არჩევანი. შესაბამისად, მე, მაგალითად, მათ ადგილზე რომ ვიყო, მივიღებდი დარჩენის გადაწყვეტილებას. მანდატი მივიღე ხალხისგან, ვემსახურები სახელმწიფო ინტერესებს და სახელმწიფოს ინტერესების სამსახური დღეს გადის პარლამენტში სიმართლისა და ჭეშმარიტების მხარეს დგომაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც ოპოზიცია უნდა იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ილაპარაკო სიმართლე და საზოგადოებას აუხსნა პარლამენტის ტრიბუნიდან, თუ რატომ ემსახურები სახელმწიფოს ინტერესებს და რომ სახელმწიფო ინტერესები წმიდათაწმიდაა.

***– ბატონო კახა, თქვენც ფიქრობთ, რომ 7-8 მარტის აქციები გახდა განათლების მინისტრის შეცვლის გადამწყვეტი?***

– პირადად მე ვფიქრობ, რომ ბატონი ჩხენკელი არ იყო ძლიერი მინისტრი. ჩვენი ქვეყნის პრობლემა ის არის, რომ არაეფექტური განათლების მინისტრები ჰყავს და ამ დროს ქვეყნის გარეთ გვყავს ძალიან განათლებული და ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც სხვა ქვეყნის განათლების სისტემას აწყობენ. ასეთებს კი ჩვენთან ახლოს არ იკარებენ. მიუხედავად იმისა, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბატონი ჩხენკელი ყველაზე ეფექტური განათლების მინისტრი იყო, რა თქმა უნდა, მისი გადაყენება ასე სწრაფ ტემპში ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტს, რომ განათლების სისტემას ახალი მკაცრი ხელი სჭირდება. ბატონი ამილახვარის ინსტრუქცია, ყოველ შემთხვევაში, ცენტრალურ დონეზე ეს იქნება. შეძლებს თუ არა ამის შესრულებას, სხვა საკითხია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მისი დანიშვნის მოტივაცია ნამდვილად ეს იქნებოდა.



***– ბოლო დღეებში ძალიან დამძიმდა ფონი, გაზრდილია დაპირისპირება, შუღლი. ვისმენთ შეფასებებს, რომ „ოცნებას“ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიჰყავს სიტუაცია. ამ ყველაფერზე რას ფიქრობთ?***

– „ქართული ოცნება“ დაეშვა იმ ფსკერის ნიშნულამდე, სადაც დაშვებული ვიყავით ჩვენ 90-იანებში და ამას აკეთებენ შეგნებულად. მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებში პოლიტიკურად ინსტიტუციურად ძალიან მოუმწიფებელი სახელმწიფო ვიყავით, ეს ბარიერები და პრობლემები ჩვენ გავიარეთ მთელი 30 წლის განმავლობაში. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი შეცდომები გაგვეანალიზებინა და აღარ დაგვეშვა, „ქართულ ოცნებასა“ და განსაკუთრებით ბატონ ივანიშვილს თავისი ამ ღრმა კონსპირაციებით, რომლითაც აზროვნებს, ქვეყანა მიჰყავთ სწორედაც 90-იანებისკენ! ჩემი აზრით, ეს ძალიან სახიფათოა. პოლარიზაციის მაღალი ხარისხი ის ფორმულაა, რომელმაც შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიგვიყვანოს და საზოგადოება ორად გაიხლიჩოს. ეს კი იქნება ძალიან მსუყე ნამცხვრის ნაჭერი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსეთი უკრაინაში ომითაა დაკავებული და ამ ომს აგებს, მაინც გამონახავს რესურსს, აქ სამოქალაქო დაპირისპირება გააღრმაოს. ეს კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ჩვენ, საქართველოს გონიერმა მოქალაქეებმა. ახლა ამ ხალხის იმედი მაქვს.

„ქართული ოცნება“ დღეს ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და თუნდაც ეკლექტურ სტაბილურობას.

***– ბატონო კახა, ბოლო დღეებია, საკმაოდ ბევრს საუბრობენ ვადამდელ არჩევნებზე. ვის აწყობს დღეს ვადამდელი არჩევნები, თავად ივანიშვილს? ან ვისგან შემოგდებული თემაა? ხედავთ იმის შანსს, რომ 2024-მდე ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს?***

– ძალიან საინტერესო კითხვაა. ნებისმიერი ვადამდელი არჩევნები საკონსტიტუციო დათქმის გარეშე, თუ საკონსტიტუციო ცვლილება არ მოხდა, რომ იყოს სრულად პროპორციული, მაშინ ეს თამაში მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ აწყობს. „ქართულ ოცნებას“ აქვს ფინანსური რესურსები, ოთხი ტელევიზია, ჰყავს ბიზნესელიტა სხვადასხვა რეგიონში, რომლებსაც, უბრალოდ, ფულით შეუძლიათ გაჭირვებული საქართველოს მოქალაქეების მოსყიდვა. თუ მაინც გაგრძელდება ვადამდელ არჩევნებზე საუბარი, ეს იქნება პირდაპირი ინდიკატორი იმისა, ვინ შეიძლება ემსახურებოდეს ივანიშვილის თამაშს.

დღეს „ოცნების“ ელექტორალური დასაყრდენი უკიდურესად შემცირებული და დამძიმებულია, რადგან ამ შემცირებული ელექტორატის ნახევარიც მიხვდა უკვე, რომ „ქართული ოცნება“ დღეს რუსულ თამაშს თამაშობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანების 90% მათ ხმას აღარ მისცემს.

***– ანუ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც დღეს ვადამდელ არჩევნებს ითხოვენ, ივანიშვილს თამაშს თამაშობენ?***

– ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც დღეს ვადამდელ არჩევნებზე საუბრობენ ამ საკონსტიტუციო დათქმის გარეშე, დარწმუნებული ვარ, 100%-ით ან შეგნებულად, ან შეუგნებლად ივანიშვილის თამაშს თამაშობენ.

***– გიორგი მარგველაშვილი გამოვიდა ინიციატივით, ერთიანი საკოორდინაციო საბჭო შევქმნათ და ვადამდელ არჩევნებზე ვიმსჯელოთო. რას იტყვით მის ინიციატივაზე?***

– ჩვენ ამ ინიციატივას არ ვიცნობთ. ჩვენ ვიცნობთ მის განცხადებებს, რომ თურმე ეს ინიციატივა უნდა იყოს მერაბიშვილისა და გახარიას გარეშე. საერთოდ კომიკურია, ბატონი მარგველაშვილი რომ მერაბიშვილსა და გახარიას ერთმანეთს ადარებს. ჩვენ მის პოლიტიკურ ხედვასა და მრწამსს ჯერჯერობით არ ვიცნობთ. ძალიან ფრთხილად ვაკვირდებით ხოლმე ნებისმიერ ასეთ განცხადებას. სანამ ნაბიჯს გადავდგამთ, 7-ჯერ ვზომავთ, სხვებისგან განსხვავებით. ხან ენმ-ეს ეკედლებიან, ხან ვის უკრავენ ტაშს, ხან ვის და, საბოლოო ჯამში, მარგინალიზდებიან. ამიტომაც არიან ხოლმე 1%-ს დაბლა.

ჩვენ ზეპარტიულ ინიციატივებთან მსჯელობას ყოველთვის მივესალმებით, მაგრამ არასერიოზული პოლიტიკოსებისა და ხალხისგან, რომლებსაც ვერ გაურკვევიათ, პოლიტიკოსები არიან, ფილოსოფოსები თუ აკადემიურ სფეროში სხვადასხვა წარმომადგენლები, მსგავს ინიციატივებს, როგორც მინიმუმ, ჯერ ვაკვირდებით და შემდეგ ვიღებთ განხილვაში.

ვიმეორებ, ვადამდელი არჩევნები „ქართული ოცნების“ თამაშია! შესაბამისად, ჩვენ ამ იდეას ვეწინააღმდეგებით. „ქართული ოცნება“ ბოლომდე უნდა გამოვააშკარაოთ, პოლიტიკურად გავაშიშვლოთ და ასე მივიდეთ 2024 წლის არჩევნებამდე. არანაირი ვადამდელი.

# მთავრობის სხდომაზე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზეც იმსჯელეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა რვა საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხთა შორის იყო საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ცვლილების საფუძველზე, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სტაციონარული დაწესებულებებისთვის განახლებული სანებართვო პირობები დამტკიცდა.

ცვლილების მიზანი, პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სამედიცინო სტაციონარული დაწესებულებების სანებართვო რეჟიმის სრულყოფა, სამედიცინო მომსახურების ხარისხის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაა. ახალი სანებართვო პირობების თანახმად, სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვა აღარ გაიცემა საცხოვრებელ შენობებში განთავსებულ ობიექტებზე; ასევე, კლინიკამ „ქირურგიული მომსახურების“ სანებართვო დანართის მოპოვებისთვის უნდა მიმართოს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რომელიც დადგენილებით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების მდგომარეობას შეისწავლის ადგილზე და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ის დაწესებულება კი, რომელიც უკვე არის ქირურგიული სერვისის მიმწოდებელი, ვალდებულია თავისი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ახალ სანებართვო პირობებთან – 2023 წლის 1 სექტემბრამდე. ასევე ქირურგიული სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო პერსონალი, ვალდებულია, ჩაერთოს უწყვეტი სამედიცინო განათლების (უსგ) სისტემაში.



ქირურგიული სერვისისთვის შემუშავებული ახალი სანებართვო პირობები განახლდა საერთაშორისო და ჯანდაცვის სფეროს პროფესიული ასოციაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კობახიძე თვითგადარჩენისთვის იბრძვის“

## გედევან ფოფხაძე: „რატომ დანიშნეს ამილახვარი და რატომ გაწირეს ჩხენკელი?! ფუჭი გადაადგილებაა“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

*– ბატონო გედევან, როგორ ფიქრობთ, „ქართულ ოცნებაში“ რეალურად რა ხდება? რას უკავშირებთ საკადრო გადაადგილებებს? რატომ შეიძლებოდა შეცვლილიყო განათლების მინისტრი? შესაძლოა, ეს ცვლილება სტუდენტების აქტიურობას, უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება?*

– ჩემთვის პრინციპულად არ არის მნიშვნელოვანი ეს ცვლილება. მე არ ვეძებ მიზეზებს ამ გადაადგილებაში. ვფიქრობ, არ არის მნიშვნელოვანი არც ის, რატომ გაუშვეს ჩხენკელი ან რატომ დანიშნეს ამილახვარი. ამ ყველაფერს არა აქვს მნიშვნელობა სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ეს ადამიანები სისტემას ემსახურებიან და არა ქვეყანასა და



ხალხს. ესენი რეჟიმს ემსახურებიან და ეს ამ საკადრო გადაადგილებაშიც კარგად ჩანს.

როგორ შეიძლება, იმის ილუზია გქონდეს, რომ ახალგაზრდებს, ამ ქვეყნის მომავალს გააკონტროლებს ამილახვარი ან ჩხენკელი გააკონტროლებდა. ეს ხომ სრულიად შეუძლებელია. ტყუილად გაწირეს ჩხენკელი. ფუჭი გადაადგილებაა. შეუძლებელია, ეფექტი მიიღონ. ამ ქვეყანაში სტუდენტების გაკონტროლება ვერავინ ვერ შეძლო და ვერც ეს რეჟიმი ვერ შეძლებს.

ხელისუფლებისთვის პრობლემა 24 თებერვალს დაიწყო, როდესაც ღიად და აშკარად ისტორიის არასწორ მხარეს აღმოჩნდნენ. პრობლემა უნდა ეძებონ აქ და არა სტუდენტებში. რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდებს პუტინის ქოლგის ქვეშ დგომა არ უნდოდეთ. როგორ გგონიათ, ამას ამილახვარი უშველის?! ამ ხელისუფლებას განაჩენი ისტორიამ გამოუტანა. ისეთი განაჩენი, რომელსაც ვერაფერი უკან ვერ მოაბრუნებს. ეს მთავრობა კადაფის, მუბარაქის გზას დაადგა. ესაა პრობლემა და არა ის, რომ სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ და საკუთარი მომავალი დაიცვეს. ამას ვერ აცნობიერებენ, ამას ვერ ხვდებიან. რაც არ უნდა მოხდეს, შედეგები არ შეიცვლება. განაჩენი უკვე გამოტანილია.

*– რაც შეეხება პარლამენტში განვითარებულ მოვლენებს, მას შემდეგ, რაც სერგეენკომ, კოვზანაძემ, ჩაჩიბაიამ და იობაშვილმა „აგენტების შესახებ კანონს“ ხმა არ მისცეს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს დეპუტატები საპარლამენტო მანდატებს ტოვებენ. გამოდის, „ოცნება“ მათ სჯის?*

– ეს ადამიანები მორალური დილემის წინაშე აღმოჩნდნენ.



*– თვლით, რომ ეს იყო ამ ადამიანების მორალური გადაწყვეტილება საკუთარი თავის წინაშე?*

– სხვადასხვა ადამიანზეა საუბარი. ალბათ, მოტივებიც განსხვავებული იყო. თუმცა, ცალსახაა, რომ ეს ადამიანები მორალური დილემის წინაშე აღმოჩნდნენ და ამ დილემის წინაშე ეს ხალხი „ქართულმა ოცნებამ“ დააყენა.

როდესაც ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატები გეუბნება, თუ ამ კანონპროექტს მიიღებ, ეს ცუდი იქნება შენი ქვეყნისთვისო, როდესაც იმავეს გეუბნება ევროკავშირი, რომელიც ასევე ღიად აცხადებს, თუ ამ კანონს მიიღებ, ეს ევროპულ პერსპექტივას ქვეყანას მოუსპობსო, როდესაც რუსთაველი ივსება შენი ხალხით, შენი საზოგადოებით, რომელიც ასევე გეუბნება, არ მინდა, ეს კანონი მიიღოო, მაგრამ შენ მაინც იღებ, აქ უკვე მორალური საკითხიც შემოდის ყველაფერთან ერთად. დიახ, დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები მძიმე არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ და მაშინ მათ სწორი არჩევანი გააკეთეს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ახლა აკეთებენ სწორ არჩევანს.

*– რას გულისხმობთ?*

– არ უნდა დატოვონ მანდატები. ეს მანდატი ეკუთვნის ხალხს და არა „ოცნებას“. თუ ისინი მანდატებს დაუტოვებენ „ოცნებას“, ეს იქნება პილატეს გზა. კობახიძე ცდილობს, როგორმე შეინარჩუნოს 76 მანდატი, რომ არ მოუწიოს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. ახლა კობახიძე თვითგადარჩენისთვის იბრძვის, პოლიციის კორდონით მიდის უნივერსიტეტში, რომ ლექციები ჩაატაროს.

*– საუბარია ამ დეპუტატების დასაქმებაზე, მაგალითად, თავდაცვის სამინისტროში, ეროვნულ ბანკში. რატომ, რომ არ იხმაურონ?*

– მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ ხალხმა არ უნდა დათმოს მანდატები და უნდა იბრძოლონ ბოლომდე. „ქართულ ოცნებას“ ახლა ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგას. გემი მოირყა.

*– შეიძლება ვთქვათ, გუნდი გაიხლიჩა?*

– უფრო რყევებია. ეს პროცესი გარდაუვალია და კიდევ უფრო გაღრმავდება. „ქართულ ოცნებას“ სჭირდება საეტაპო გამარჯვება, რომ გუნდი ისევ შეიკრას, რაც სრულიად წარმოუდგენელია. რა გამარჯვებაზე შეიძლება იყოს საუბარი, ოკუპირებულ ტერიტორიებს დაიბრუნებენ თუ ქვეყანას ევროკავშირში შეიყვანენ? ამიტომ რღვევის პროცესი გაღრმავდება. ჩაძირულ გემს არავინ ჩაჰყვება. სამშვიდობოს გასვლას დაიწყებენ.

*– 2024 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ ამ გუნდით გავა თუ ახალ გუნდს დააკომპლექტებს?*

– ეს გუნდი არჩევნებამდე ვერ მიაღწევს. „ქართული ოცნების“ ეს პერიოდი, იცით, ქართული პოლიტიკის რომელ პერიოდს ჰგავს? – გუმბარიძის პერიოდს, როდესაც ის ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. ასე მოხდება ამ შემთხვევაშიც.

# ღარიბაშვილმა განათლების მინისტრად გიორგი ამილახვარი დანიშნა

– დღეს წარმოგიდგენთ განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს, ბატონ გიორგი ამილახვარს. მას აქვს ძალიან კარგი განათლება მიღებული და ძალიან წარმატებული ადამიანია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა გუნდის სახელით განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრს მიხეილ ჩხენკელს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, მიხეილ ჩხენკელი წარმატებული მინისტრი იყო, 4 წელი ემსახურა ქვეყანას და ახალგაზრდა თაობას, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, ბევრ რეფორმას ჩაუყარა საფუძველი და თავისი სურვილით უბრუნდება აკადემიურ საქმიანობას.

– მე მინდა გაცნობოთ, რომ დღეს წარმოგიდგენთ განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს, ბატონ გიორგი ამილახვარს. მანამდე მინდა გითხრათ, რომ მე უკვე შევხვდი ბატონ მიხეილ ჩხენკელს. მან საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა. მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი მიხეილი წარმატებული მინისტრი იყო, იგი 4 წელი ემსახურა ჩვენს მთავრობას, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ახალგაზრდა თაობას. მან ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, ძალიან ბევრ რეფორმას ჩაუყარა საფუძველი. ბატონი მიხეილის გადაწყვეტილება და სურვილი იყო, რომ დაუბრუნდეს თავის აკადემიურ საქმიანობას. კერძოდ, ბატონი მიხეილ ჩხენკელი გააგრძელებს თავის საქმიანობას ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში უცხოელ მრჩეველთა ბორდის თავმჯდომარედ. მე მინდა ჩვენი გუნდის სახელით, პირადად ჩემი და მთავრობის სახელით მადლობა გადავუხადო ბატონ მიხეილ ჩხენკელს გაწეული საქმიანობისთვის და ვუსურვო წარმატებები მის შემდგომ საქმიანობაში.

რაც შეეხება ჩვენს ახალ მინისტრს, ბატონი გიორგი ამილახვარი არის ძალიან წარმატებული ადამიანი. მე მინდა გითხრათ, რომ მას აქვს ძალიან კარგი, ღირსეული განათლება მიღებული, იგი სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდგომ გერმანიაში. გერმანიაში, ქალაქ ჰამბურგში მაქს პლანკის კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა თავის სადისერტაციო ნაშრომზე. მას მინიჭებული აქვს სამართლის დოქტორის ხარისხი, არის ასოცირებული პროფესორი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ გიორგის აქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება, იგი გახლავთ ერთ-ერთი ძალიან წარმატებული უნივერსიტეტის დამფუძნებელი, მისი რექტორობის პერიოდში ამ უნივერსიტეტმა ძალიან ბევრ წარმატებას მიაღწია და ერთ-ერთ მართლა ძალიან კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა შექმნას ახალგაზრდა, მოტივირებულმა ადამიანმა ძალიან თანამედროვე, ევროპული, დასავლური ხარისხის უნივერსიტეტი, სწორედ ასეთი უნივერსიტეტის შემქმნელი გახლავთ ბატონი გიორგი.

მინდა აღვნიშნო, რომ დღემდე ბატონი გიორგი წარმატებით ხელმძღვანელობდა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს. მას უკავშირდება არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა.

ბატონი გიორგი წლებია ჩართულია განათლების სფეროში. იგი ძალიან კარგად იცნობს ზოგადად განათლების ყველა საფეხურზე არსებულ ვითარებას, იმ გამოწვევებს, რომლებიც ჯერ კიდევ რჩება განათლების სისტემაში და მე



მჯერა, ვარ დარწმუნებული, რომ ბატონი გიორგი იქნება წარმატებული განათლების და მეცნიერების მინისტრი. მას აქვს ძალიან კარგი ხედვა, ჩვენ ბევრი გვისაუბრია ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლების საკითხებზე, მან იცის ძალიან კარგად, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ჯერ კიდევ არსებული პრობლემები და მე ვფიქრობ, რომ ბატონი გიორგი იქნება წარმატებული მინისტრი. ბოლოს ვიტყვი, რომ ჩვენ გვჭირდება კარგი მენეჯერები, დარგის მენეჯერები. ამავდროულად, მინდა ვთქვა, რომ გიორგი ამილახვარს აქვს ძალიან ბევრი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული, მონოგრაფია ქართულ და ინგლისურ ენებზე, იგი პარალელურად მუშაობდა თავის აკადემიურ საქმიანობაზე, ასე რომ, მე მინდა კიდევ ერთხელ ვუსურვო წარმატება გიორგი ამილახვარს და კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ჩვენს ყოფილ მინისტრს, ბატონ მიხეილ ჩხენკელს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გიორგი ამილახვარმა პრემიერ-მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში პრემიერ-მინისტრს საკუთარ ხედვას და სამოქმედო გეგმას წარუდგენს.

– პირველ რიგში მადლობა ბატონო პრემიერ-მინისტრო გამოცხადებული ნდობისთვის თქვენ და მთლიანად ჩვენს გუნდს. რა თქმა უნდა, დიდი პატივია ვუხელმძღვანელო განათლებისა და მეცნიერების მიმართულებას, იქ სადაც მუშაობს და დასაქმებულია ასეულ ათასობით ჩვენი ღირსეული მოქალაქე და ქმნის თანამედროვე საქართველოს. რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლების პირობებში ბევრი რამ გაკეთდა განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით, თუმცა, ბუნებრივია, კვლავ რჩება რიგი გამოწვევები და პრობლემები, რომლებსაც სჭირდება სწრაფი პასუხი და გადაჭრა. ამიტომ ჩვენ და მე პირადად დღეიდან დავიწყებთ აქტიურ კომუნიკაციას განათლებისა და მეცნიერების დარგში ჩართულ ყველა ადამიანთან – ბავშვებთან, მათ მშობლებთან, ჩვენს დამსახურებულ და ღირსეულ მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციებთან, პროფესორებთან, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებთან და სტუდენტებთან და ჩვენს მეცნიერებთან იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე სამსჯელოდ, რაც დღეს დარგში გვაქვს და მიღებული უკუკავშირის შედეგად მივიღებთ სწრაფ და მყისიერ გადაწყვეტილებებს, ყველა ამ პრობლემაზე საპასუხოდ. ჩვენ გვინდა, რომ ყველაფერი საუკეთესო შევთავაზოთ ჩვენს შვილებს სკოლებში, დაწყებული ინფრასტრუქტურით, გაგრძელებული სასწავლო პროგრამით და საგანმანათლებლო რესურსებით, ამიტომ ამ კუთხით აქტიურად და სწრაფად ვიმუშავებთ.

ჩვენ გვინდა და შევქმნით აუცილებლად ღირსეულ პირობებს ჩვენი დამსახურებული მასწავლებლებისთვის და ეს იქნება ის ნაბიჯი, რაც მნიშვნელოვანია მასწავლებლების პროფესიის ღირსების და პოპულარიზაციის ამაღლებისთვის. აუცილებლად დამატებით სოციალურ და ფინანსურ მხარდამჭერ მექანიზმებს შევთავაზებთ ყველა იმ მოტივირებულ, წარჩინებულ და წარმატებულ სტუდენტს, ვისაც აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება და ხელს შევუწყობთ მათ ამ პროცესში განათლების პროცესის კარგად დასრულებისთვის.

აუცილებლად აქტიურად მხარს დავუჭერთ უმაღლეს განათლებაში და პროფესიულ განათლებაში ერთობლივი, ორმაგი პროგრამების განხორციელებას და დანერგვას, ჩვენს ევროპელ და დასავლელ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთად, ვინაიდან, მიგვაჩნია, რომ დღეს განათლებას არ აქვს საზღვრები და მნიშვნელოვანია უფრო აქტიურად და ფართოდ გავაღოთ კარი ევროპული და დასავლური განათლების შემოსაშვებად საქართველოში.

პროფესიული განათლება ჩემი მინისტრობის პერიოდში გამოცხადდება პრიორიტეტულ მიმართულებად და უახლოეს პერიოდში ჩვენ შემოგთავაზებთ იმ კონკრეტულ ხედვას, თუ როგორ ვაპირებთ ამ დარგის გარდაქმნას და რა კონკრეტულ და იოლი ფორმების მექანიზმებს შევთავაზებთ დამსაქმებლებს პროფესიულ განათლებაში ჩართულობისთვის.

მიღწეულმა შედეგებმა გასული წლების განმავლობაში უკვე მოგვცა შესაძლებლობა, რომ ჩვენ აქტიურად ვიმუშაოთ, რომ საქართველო ჩამოვაყალიბოთ რეგიონში განათლების მიზიდულობის კერად, მოვიზიდოთ მეტი უცხოელი სტუდენტი და პროფესორი საქართველოში, რაც პირდაპირ უდრის ჩვენი განათლების ხარისხის ზრდას და პირდაპირ ინვესტიციას განათლებაში.

და ბოლოს, ამ და ყველა სხვა დანარჩენ საკითხებზე, რომელიც უამრავია, უახლოეს მომავალში პრემიერ-მინისტრს ჩვენ წარვუდგენთ ჩვენს ხედვას და გეგმას და ერთობლივად, უკვე უახლოეს მომავალში საზოგადოებას საჯაროდ გავაცნობთ იმ კონკრეტულ დროში გაწერილ გეგმას, რომელიც ამ და სხვა საკითხებს შეეხება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თქვენ და ბატონ პრემიერს, – განაცხადა გიორგი ამილახვარმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრ მიხეილ ჩხენკელს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა მიხეილ ჩხენკელს მინისტრობის პერიოდში გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

თავის მხრივ, ყოფილმა მინისტრმა მადლობა გადაუხადა მთავრობის მეთაურს და აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივი იყო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გუნდში მუშაობა.

მთავრობის მეთაურმა ყოფილ მინისტრს მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

# რა შემთხვევაში აუფეთქდება კრემლს ჩრდილოეთი კავკასია

## რუსეთის სპეცსამსახურებმა კრემლის ერთგული კადიროვიც მოწამლეს?

მარიამ მჭედლიშვილი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაცემული ორდერი პუტინის დაპატიმრებაზე კრემლის ერთადერთი სატკივარი არ არის. აგრესორ რუსეთს თავისი უზარმაზარი ფედერაციის შიგნითაც ბევრი თავისტკივილი დაუგროვდა: ბევრ ავტონომიაში დეკოლონიზაციაზე ალაპარაკდნენ. ჩეჩნეთის დევნილობაში მყოფი საზოგადოება, ანუ კადიროვის ოპოზიცია, იჩქერიის დამოუკიდებლობის აღდგენის კონკრეტულ გეგმებს სახავს. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციაში იკვეთება უთანხმოება მათ შორისაც, ვინ ცოტა ხნის წინ უკრაინისა და დასავლეთის წინააღმდეგ მებრძოლ მონოლითს წარმოადგენდა. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პუტინის თანამზრახველი ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი, რომლის ჯანმრთელობის შერყევა თვალსაჩინოა, მოსკოვმა მოწამლა. საკითხზე უკრაინულ მედიასთან საუბრობს უკრაინელი პოლიტტექნოლოგი ბორის ტიზენჰაუზენი.

***– რამდენიმე დღის წინ კადიროვი პუტინს შეხვდა. ამის ოფიციალური საბაბი ანგარიში იყო. თქვენი აზრით, აქვს თუ ამას საერთო კადიროვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მითქმა-მოთქმასთან?***

– პირდაპირ კავშირშია. ყველასთვის ნათელია, რომ კადიროვი ჯანმრთელი არ არის. ჩეჩნეთის ოპოზიციამ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მან ექიმი-ნეფროლოგი არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან გამოიწერა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კადიროვი არ ენდობა საკუთარ გარემოცვას და იმ ექიმებს, რომლებიც მასთან ახლოს იმყოფებიან. ცოტა ხნის წინ გავრცელდა უცნაური ფოტო, სადაც კადიროვის 17 წლის ვაჟი პუტინთან ერთადაა აღბეჭდილი. ამის მნახველებმა იკითხეს – ხომ არ არის ეს მემკვიდრის წარდგენა?

ადრე კადიროვი თავისთვის ითხოვდა საჰაერო თავდაცვის სისტემას. ექსპერტებმა მაშინ მიიჩნიეს, რომ კადიროვს რაღაცის ეშინია. უკრაინული რაკეტები მას ვერ მისწვდებოდნენ. მის სიახლოვეს არც უცნობი უპილოტო თვითმფრინავები გამოჩენილან. ამიტომ ბევრმა დაასკვნა, რომ კადიროვი თავს იცავს რუსეთის სპეცსამსახურებისაგან, რომლებსაც ის ყელში ამოუვიდათ. ერთხელ „ფსბ" ჩეჩნეთში ჩავიდა დამნაშავის დასაკავებლად. სპეცსამსახურს იქ ცეცხლი გაუხსნეს, კადიროვმა კი მოგვიანებით გამოაცხადა, რომ ისაა ჩეჩნეთში „მეფე" და ყველაფერი მასთან შეთანხმებით მოხდება. ამის გარდა, ბევრის შეშფოთებას იწვევს კადიროვის კერძო არმია, რომელიც მან ჩამოაყალიბა რუსეთის გადასახადების გადამხდელების ფულით. მოქმედებების მთელი ეს ჯაჭვი გვაძლევს საბაბს ვივარაუდოთ, რომ კადიროვი თავის პოსტს დატოვებს.

***– მისი მოწამვლა შეეძლოთ?***

– გამორიცხული არ არის, მით უმეტეს, რომ მოწამვლა რუსეთში ეროვნული გასართობია. ის, რომ მოწამლეს მისი ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწე, ალაუდინოვი, ასევე ნიშანდობლივია.

***– კადიროვი აღარ იყენებს აგრესიულ რიტორიკას უკრაინის მიმართ. მეტყველებს თუ არა ეს იმაზე, რომ მან პუტინის ნდობა დაკარგა?***



– ამას არ ვიტყოდი. პუტინის ნდობა უფრო პრიგოჟინმა არ გაამართლა. კადიროვს ნდობა არ დაუკარგავს. კადიროვს გვერდით ჰყავს თავისი საქმის მცოდნე პიარის სპეციალისტები და პოლიტტექნოლოგები. ისინი ურჩევენ, რომ ბაქიბუქს (რაც იყო ომის დაწყების პირველ ხანს) შეეშვას, თავი დაანებოს თავდასხმებს რუსეთის არმიის ხელმძღვანელობაზე. ისიც პირდაპირ ვთქვათ, რომ არმიის სპეცდანიშნულების რაზმსა და „ფსბ"-ს შეუძლიათ წარმატებული ოპერაციის განხორციელება. ყოველივე ამის გამო კადიროვმა ფაფხურს თავი დაანება.

***– თქვენ მიერ ნახსენები კადიროვის ვაჟი სასწრაფოდ დააქორწინეს, გავრცელდა მისი პუტინთან ერთად გადაღებული ფოტოები. ეს ადასტურებს, რომ კადიროვი მას საკუთარ მემკვიდრედ თვლის?***

– რასაკვირველია. თუმცა, ალბათ, მას არ სურს, რომ მემკვიდრემ ტახტი ახლავე დაიკავოს. კადიროვმა ყველას შეუთვალა, რომ თუ მას რამე მოუვიდა, მემკვიდრე უკვე მოიწონა „მთავარმა". კადიროვს რომ რამე დაემართოს, ჩეჩნეთში შეიძლება დაიწყოს ტახტისათვის ბრძოლა. მოსალოდნელია დაპირისპირება მემკვიდრეებსა და გავლენის ჯგუფებს შორის. ამიტომ კადიროვმა ყველას უთხრა, ეს იქნება ტახტის მემკვიდრეო. კადიროვისთვის ახლა ისიც მნიშვნელოვანია, რომ პუტინმა ტახტისათვის „აკურთხოს" მემკვიდრე რუსეთის ე.წ. ელიტების წინაშე. საკითხავი ისაა, მზადაა თუ არა სამართავად 17 წლის ახალგაზრდა. როგორც კი კადიროვი საქმეებს ჩამოსცილდება, ჩეჩნეთში შეუქცევადი პროცესები დაიწყება.

***– დევნილი ჩეჩნეთის დიასპორა თუ მომაგრდება, შეძლებს მიზნის მიღწევას?***

– უცხოეთიდან სახელმწიფოს სრულყოფილად მართვა არ გამოვა. თუ დიასპორა დაბრუნდება, მაშინ სხვაა და დაიწყება მღელვარება. შესაძლებელია აფეთქება. მაშინ იფეთქებს არა მარტო ჩეჩნეთი, არამედ მთელი ჩრდილოეთი კავკასია. ჩრდილოეთი კავკასია – ეს ისაა, რამაც შეიძლება იფეთქოს, როცა „ცენტრი" დასუსტდება და მას პერიფერიებისთვის ძალები აღარ დარჩება.

## რუსეთში ანტიქართული და ანტიუკრაინული განწყობილებები გაიზარდა




რუსეთში როგორც ანტიუკრაინული, ისე ანტიქართული განწყობილებები გაიზარდა. ასე მაგალითად, უკრაინას მტრულ სახელმწიფოდ რუსების 88% თვლის. საქართველოს ასეთად 20% მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობას ე.წ. მტრების წინააღმდეგ განსხვავებული რეცეპტები გააჩნია. მაგალითად, ტელეკომპანია მე-5 არხის ცნობით, რუსების 80% უკრაინელების წინააღმდეგ ტაქტიკური ხასიათის ბირთვული იარაღის გამოყენებას გამართლებულად მიიჩნევს, საქართველოს წინააღმდეგ კი სხვა რეცეპტები აქვთ.

– აუცილებელია, ქართველები შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში გადაასახლონ, საქართველოში კი რუსი კაზაკების სტანიცები დააარსონ, – ასე თვლის რუსების 77%.

## ბაიდენი პუტინს ბრალს სდებს



აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ ჰააგის სასამართლოს ვერდიქტი სამართლიანი, მაგრამ ნაგვიანევი იყო.

– პუტინმა სამხედრო დანაშაულები ჩაიდინა არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ მოლდოვაში, ჩეჩნეთში, სირიასა თუ სხვაგან. უკრაინაში ჩადენილმა ბოროტმოქმედებებმა მხოლოდ მოთმინების ფიალა აავსო, – თქვა ბაიდენმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამიერიდან პუტინი მთელი დემოკრატიული სამყაროსათვის მიუღებელ პიროვნებად გადაიქცა.

## ტრამპი შესაძლოა დააპატიმრონ



აშშ-ის ექსპრეზიდენტი ტრამპი შესაძლოა დააპატიმრონ. ამის თაობაზე თავად მან განაცხადა.

– მე კაპიტოლიუმის შენობაზე შტურმსა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით აღების მცდელობას მაბრალებენ, – თქვა ტრამპმა.

ექსპრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მისი დევნის მიზეზი სხვაა.

– დღეისათვის მე რესპუბლიკური პარტიის ყველაზე პოპულარული კანდიდატი ვარ! ბაიდენსა და მის ბანდას ჩემი ეშინიათ, ჰოდა, მდევნიან! – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის ექსპრეზიდენტი თვლის, რომ დიქტატურა არა რუსეთში, არამედ აშშ-შია. ქვეყანას განაგებს ვიწრო ჯგუფი და აკეთებს იმას, რაც სურს.

– ამას ბოლო უნდა მოეღოს! ამიტომ ჩემს მომხრეებს მოვუწოდებ, გამოვიდნენ ქუჩაში! – დაიმუქრა ტრამპი.

## ბახმუტის ალყაში მოქცევის ყველა მცდელობა ჩაიშალა



რუსეთ-უკრაინის ომში ცვლილებები არ არის. უკრაინელებმა კვლავ წარმატებული კონტრშეტევა განახორციელეს ბახმუტთან. შედეგად მდინარე ბახმუტკის ორივე ნაპირი გათავისუფლებულია. უკრაინელებმა სრული კონტროლი დაამყარეს სტრატეგიული მნიშვნელობის გზაზე ბახმუტი-ჩასოვიარი და ბახმუტი-კოსტანტინოვკა.

ბახმუტის ალყაში მოქცევის ყველა მცდელობა ჩაიშალა. მეტიც, ამან რუსების რიგებში დანაკარგები გაზარდა. დღეისათვის ოკუპანტები მხოლოდ ბახმუტთან ყოველდღე 600-650 ჯარისკაცს კარგავენ.

სასტიკი ბრძოლებია ავდეევკასა და მარინკასთანაც. კრახით დამთავრდა რუსების მცდელობა, გვერდი აევლოთ ხსენებული დასახლებული პუნქტებისათვის. რაც შეეხება შახტარს ან უგლედარს, აქ ოკუპანტების შეტევები შეწყდა. სამაგიეროდ, რუსებმა გააძლიერეს ბახმუტის, ავდეევკის, მარინკის, უგლედარის დაბომბვა.

პასუხად უკრაინელებმა დაარტყეს დონეცკს, გორლოვკასა და დონბასის სხვა ქალაქებს.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, აქ პოზიციური ბრძოლებია. როგორც უკრაინელები, ისე რუსი ოკუპანტები შეტევით ოპერაციებს არ ახორციელებენ.

თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, ოკუპანტების დანაკარგები უკვე 165.359 მეომარია. აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, უკრაინელებმა მხოლოდ 34.000 მეომარი დაკარგეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## პოლიციამ მაღაზია „დელფოსის" გაქურდვის ფაქტზე უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1985 წელს დაბადებული ა.ჰ. ქურდობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე საიუველირო მაღაზიიდან სხვადასხვა ძვირადღირებული სამკაული მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ა.ჰ. მომხდარიდან მეორე დღეს, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## კახეთში ავარიის შედეგად ქალი დაიღუპა

კახეთში ავარიის შედეგად ერთი ქალი დაიღუპა, 7 წლის ბავშვი კი მძიმედ დაშავდა.

შემთხვევა ბაკურციხე-თბილისის დამაკავშირებელ მაგისტრალზე მოხდა. მსუბუქ ავტომობილს, რომლითაც ოჯახი მგზავრობდა, ტრაილერი შეეჯახა. ადგილზე დაიღუპა ქალი. მძიმედ დაშავდნენ მისი 7 წლის შვილი და მეუღლე.

დაშავებულები გურჯაანის ჯეო-ჰოსპიტალსის კლინიკაში გადაიყვანეს. ექიმების განმარტებით, ბავშვს სამკურნალოდ თბილისში გადაიყვანენ, რადგან ტრავმები თავის არეში აქვს მიღებული და ნეიროქირურგის დახმარება სჭირდება.

## გორში ავარიას 50 წლამდე კაცი ემსხვერპლა




გორში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. ინფორმაციას „TV მონიტორინგი" ავრცელებს.

ქვეითად მოსიარულე 50 წლამდე ასაკის მამაკაცს მსუბუქი ავტომობილი რესტორან „ნაჭარმაგევის" მიმდებარედ დაეჯახა. კაცი ადგილზე დაიღუპა.

## მედიის ადვოკატირების კოალიცია: „დაიცავით ჟურნალისტი ნატო გოგელია და მისი არასრულწლოვანი შვილები"

მედიის ადვოკატირების კოალიცია

„მედიის ადვოკატირების კოალიცია" კიდევ ერთხელ ეხმიანება „ტელეკომპანია პირველის" ჟურნალისტ ნატო გოგელიაზე თავდასხმისა და პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის ფაქტს, რათა სახელმწიფომ სათანადო ყურადღება დაუთმოს ჟურნალისტის მიმართ გავრცელებულ მუქარას, დაუყოვნებლივ მიიღოს ქმედითი ზომები მის მიმართ დაფიქსირებული უკანონო ქმედებების აღსაკვეთად.

2023 წლის 15 მარტს სოფელ ბახვში ჟურნალისტ ნატო გოგელიას თავს დაესხა პრორუსული პარტია „ალტ-ინფოს" წარმომადგენელი, ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მობილური ტელეფონი დაუმტვრია. იგივე პირი 14 მარტს თბილისში, პარლამენტთან გამართულ აქციასა და შენობიდან ევროპული დროშის ჩამოხევაში მონაწილეობდა. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის საფუძველზე დაიწყო და დააკავა ერთი პირი.

პარალელურად, მოძალადე პირის მხარდამჭერთა მხრიდან ჟურნალისტის მიმართ დაფიქსირდა არაერთი მუქარა, რაც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს.

ნატო გოგელიას ინტერესებს კოალიციის წევრი ორგანიზაცია „მედიაომბუდსმენი" იცავს. ჟურნალისტისა და მისი არასრულწლოვანი შვილების დაცვის საჭიროებებიდან გამომდინარე, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს უკვე წარედგინა დამატებითი მტკიცებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიის ადვოკატირების კოალიცია მიმართავს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, დაუყოვნებლივ შეისწავლოს ჟურნალისტისა და მისი არასრულწლოვანი შვილების უფლებების შელახვის ფაქტები, მიანიჭოს მათ სავარაუდო მსხვერპლის სტატუსი და გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიებები.

საქმე №010210623006833306
№2-394/2023

8419683289118
www.ecd.court.ge

# განჩინება
## საქართველოს სახელით

საჯარო შეტყობინების/პუბლიკაციის შესახებ

14 თებერვალი, 2023 წელი ქ. ბათუმი

**ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე – სალიხ შაინიძე**

**განმცხადებელი** – ილიას დოლიძე
**წარმომადგენელი** – შოთა ჯიბლაძე

**მოთხოვნის არსი** – ქონების უპატრონოდ ცნობა

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში „ახალი თაობა“ შემდეგი სახით:

1.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე სალიხ შაინიძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (№2-394/2023), ილიას დოლიძის განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობისა და საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ნიკოლოზ შულიკა, პ/ნ 61005007197, დაბ.12.05.1944წ. საქართველოში, კერძოდ ქობულეთის რაიონის სოფ.საჩინოში ცხოვრობდა 1986 წლიდან. იყო მარტოხელა, არ ჰყავდა ცოლშვილი. წლების განმავლობაში სოფ. საჩინოში ცხოვრობდა ილიას დოლიძის ოჯახი, ეხმარებოდა საოჯახო მეურნეობაში, სამაგიეროდ ილიას დოლიძის ოჯახი უზრუნველყოფდა მის ყველა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებას. მიღებული ყავდათ ოჯახის წევრად. მისივე დახმარებით, 2017 წელს საკუთრებაში მიიღო 15.20 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი დაბა ჩაქვში. მათი ურთიერთობა ჩვეულებრივად კვლავ გაგრძელდა. 2020 წლიდან ნიკოლოზი ავადმყოფობდა. ბოლო ერთი წელიწადი მას აღარ შეეძლო მუშაობა და მთლიანად დამოკიდებული გახდა ილიას დოლიძის ოჯახის მზრუნველობაზე, რასაც მას არ აკლდებდნენ. მისი შენახვის და მკურნალობის ხარჯებს მთლიანად ისინი ირებდნენ. პენსია, რომელსაც ღებულობდა ნიკოლოზი, ბუნებრივია, ამისათვის საკმარისი არ იყო. ნიკოლოზი ილიას დოლიძეს სიტყვიერად ეუბნებოდა, რომ საცხოვრებელ 15.20 კვ.მ. ფართს ანდერძით დაუტოვებია მის ოჯახს.

1.2. ნიკოლოზ შულიკა 2022 წლის 31 მაისს გარდაიცვალა,. იგი ილიას დოლიძემ დაასაფლავა საკუთარ სასაფლაოზე, მშობლების გვერდით.

გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას ანდერძი კანონით დადგენილი წესით არ შეუდგენია და მისი უკანასკნელი ნება უკარნახა მოქალაქეებს ბადრი ცეცხლაძეს და გურამი დავითაძეს. ილიას დოლიძემ გარდაცვლილის სამკვიდროს მისაღებად განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს. 2022 წლის 30 ნოემბერს ნოტარიუსმა მიღებული დადგენილებით უარი უთხრა სამკვიდროს მიღებაზე, რადგანაც ნიკოლოზ შულიკას მიერ შედგენილი ე.წ. შინაურული ანდერძი შედგენილია ანდერძისმიერი სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ფორმის დაუცველად. ნიკოლოზ შულიკას გარდაცვალების შემდეგ ილიას დოლიძე დაეუფლა ქონებას და ფლობს, როგორც საკუთარს. ამ ხნის განმავლობაში ქონების ფლობა– სარგებლობაში მას არავინ შედავებია, რადგან მეზობლებისათვის ცნობილია ის ურთიერთობა, რაც აკავშირებდა მას და მის ოჯახს აწ.გარდაცვლილ ნიკოლოზ შულიკასთან.

2. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ქონების უპატრონოდ ცნობაზე, რომელთა უპატრონოდ ცნობასაც მოითხოვს ილიას დოლიძე, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. 30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

3. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

5. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე** **სალიხ შაინიძე**

# რატი ბრეგაძე: „მიხეილ სააკაშვილის, როგორც პატიმრის, არცერთი უფლება დარღვეული არ ყოფილა“



– კიდევ ერთხელ გადავამოწმე და მინდა, თამამად გითხრათ, რომ 13:00 საათის მდგომარეობით, არ ყოფილა არც მიხეილ სააკაშვილის, არც მისი ოჯახის მხრიდან რაიმე განცხადება, რომლის მიხედვითაც გვთხოვდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილის მკურნალობაში ჩართულიყვნენ უცხოელი ექიმები, – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციარული სამსახური არ იქნება წინააღმდეგი თუ უშუალოდ მსჯავრდებული, მიხეილ სააკაშვილი ან ოჯახი კლინიკა „ვივამედში“ მიხეილ სააკაშვილის მკურნალობაში ჩართვის მიზნით სასურველ უცხოელ ექიმთა სიას წარადგენს.

– მსურს გავაკეთო განცხადება დეზინფორმაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, თითქოსდა მიხეილ სააკაშვილთან სახელმწიფო არ უშვებს პოლონელ ექიმებს.

აქვე მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ 2022 წლის 29 ნოემბერს მსჯავრდებულ სააკაშვილს შევთავაზეთ, რომ ჩამოეყვანათ უცხოელი ექიმები, ნებისმიერი უცხოური კლინიკიდან, რათა ჩართულიყვნენ მისი მკურნალობის პროცესში. შემდგომში სამი დღის წინ კიდევ დამატებით განვმარტეთ, რომ ჩვენი შეთავაზება ძალაშია და სამინისტრო და სპეციალური პენიტენციარული სამსახური არ იქნება წინააღმდეგი, რომ მიხეილ სააკაშვილის მკურნალობაში ჩართოს ნებისმიერი უცხოელი ექიმი ნებისმიერი უცხოური კლინიკიდან.

დღეს, მაგალითად, მთავრობის სხდომაზე წამოსვლამდე 13:00 საათის მდგომარეობით, კიდევ ერთხელ გადავამოწმე და მინდა, თამამად გითხრათ, რომ ამ დროისთვის, ვგულისხმობ 13:00 საათს, არ ყოფილა არც მიხეილ სააკაშვილის, არც მისი ოჯახის მხრიდან რაიმე განცხადება, რომლის მიხედვითაც გვთხოვდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილის მკურნალობაში ჩართულიყვნენ უცხოელი ექიმები. კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო როგორც უშუალოდ მსჯავრდებულ სააკაშვილს, ასევე მისი ოჯახის წევრებს და საზოგადოების სწორი ინფორმირების მიზნით განვმარტო, რომ სამინისტრო და სპეციალური პენიტენციარული სამსახური არ იქნება წინააღმდეგი, თუ უშუალოდ მსჯავრდებული ან ოჯახი წარმოადგენს ადგილზე კლინიკა „ვივამედში“ მიხეილ სააკაშვილის მკურნალობაში ჩართვის მიზნით სასურველ უცხოელ ექიმთა სიას და ამ შემთხვევაში ჩვენ ვუშუამდგომლებთ მათ ჯანდაცვის სამინისტროსთან იმისთვის, რომ შემდგომში ამ ექიმებმა გაიარონ შესაბამისი პროცედურები, რათა საექიმო საქმიანობის ნებართვა მიიღონ და შემდგომში მსჯავრდებულ სააკაშვილის მკურნალობაში ჩართვა შეძლონ, – განაცხადა ბრეგაძემ.

ამასთან, რატი ბრეგაძემ უპასუხა მიხეილ სააკაშვილის ადვოკატების მიერ სტრასბურის სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე დასმულ კითხვას და განაცხადა, რომ მათი გადასაწყვეტია, მიმართავენ თუ არა სასამართლოს.

იუსტიციის მინისტრის თქმით, მიხეილ სააკაშვილის, როგორც პატიმრის, არცერთი უფლება დარღვეული არ ყოფილა.

– ეს, რა თქმა უნდა, მათი გადასაწყვეტია. მათ აქვთ უფლება მიმართონ როგორც ეროვნულ სასამართლოს, ასევე სტრასბურის სასამართლოსაც და, სიმართლე რომ გითხრათ, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი გავიდა მას შემდეგ და რატომ არ მიმართავენ სტრასბურის სასამართლოს, ამაზე პასუხს ალბათ, ისინი თავად უკეთ გაგცემენ. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენს საქმიანობას კერძოდ, როგორც მსჯავრდებული სააკაშვილის, ისე ნებისმიერი სხვა პატიმრის უფლებების დაცვას.

მრავალგზის მითქვამს, რომ მიხეილ სააკაშვილის, როგორც პატიმრის არცერთი უფლება დარღვეული არ ყოფილა. მისმა უფლებადამცველებმა სტრასბურის სასამართლოს მიმართეს და ვნახეთ, რა შედეგიც დადგა. წელს მიმართავენ თუ არა სასამართლოს თავიდან, ეს მათი გადასაწყვეტია. მიხეილ სააკაშვილს უკვე დაახლოებით, 2.000 ვიზიტორამდე ჰყავდა. ის შესაბამის კლინიკაში მკურნალობს და ფიზიკურად რთულია წარმოვიდგინოთ, დაინტერესებული მხარე რომელი უფლების დარღვევაზე შეიძლება საუბრობდეს, – განაცხადა ბრეგაძემ.

# ბადრი ესებუა ავთანდილ გალდავას – „მინდა, მოგილოცოთ ჩემი დაკავება“



ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღებაში ბრალდებულ ბადრი ესებუას საქმეზე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსის ავთანდილ გალდავას დაკითხვის დროს ბადრი ესებუამ სიტყვა ითხოვა. მან ავთანდილ გალდავას მისი დაკავება მიულოცა.

– პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ ჩემი დაკავება. როგორც ჩანს, ეს დიდი მიღწევაა. მე ის გამიხარდებოდა, როგორც მე შემებრძოლეთ და ჩემს ოჯახს, ისე შეებრძოლოთ ჩვენს მტერს. რაც შეეხება ჩემს კითხვას, როცა თქვენ ჩვენებას აძლევდით, რამდენჯერმე აგიჩუყდათ გული, მე მაინტერესებს რატომ არ აგიჩუყდათ გული მაშინ, როცა ასე სასტიკად გაუსწორდით ჩემს ოჯახს, როცა ჩემი უდანაშაულო ძმა გაუშვით ციხეში ოთხი წლით და ჩემს ნათესავებსაც იგივე „ტრიუკი“ გაუკეთეთ, – განაცხადა სასამართლო პროცესზე ბადრი ესებუამ.

პროკურორმა მირანდა წერეთელმა შუამდგომლობა ითხოვა და განაცხადა, რომ ბადრი ესებუას მიერ დასმული კითხვა საქმესთან კავშირში არ იყო, რასაც სასამართლო დაეთანხმა.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიარაღებული ბადრი ესებუა შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

**კალეიდოსკოპი**

# სამი წლის გოგონამ და შემთხვევით პისტოლეტით მოკლა



ამერიკის ტეხასის შტატში სამი წლის გოგონამ შემთხვევით პისტოლეტიდან გასროლით საკუთარი უფროსი და მოკლა.

უბედური შემთხვევა კვირა საღამოს ქალაქ ჰიუსტონში მოხდა. პოლიციის შერიფ ედ გონსალესის თქმით, გოგონების სახლში მისმა მშობლებმა და მათმა ნათესავებმა და მეგობრებმა მცირე წვეულება მოაწყვეს. ერთ მომენტში გოგონები საძინებელ ოთახში მარტონი დარჩნენ, ვინაიდან უფროსებს ეიმედებოდათ, რომ მათთან სხვა მოზრდილი იყო დარჩენილი. მალე გასროლის ხმა გაისმა.

გაირკვა, რომ სამი წლის გოგონამ ოთახში სხვადასხვა ნივთს შორის ნახევრად ავტომატური დატენილი პისტოლეტი იპოვა და თამაშის დროს შემთხვევით დას ესროლა. საძინებელში შევარდნილ მოზრდილებს ბავშვი უგონო მდგომარეობაში იატაკზე დავარდნილი დახვდათ. ის მალევე გარდაიცვალა.

გონსალესმა ამ შემთხვევას ტრაგედია უწოდა, თუმცა, იქვე დაამატა, რომ მისი თავიდან აცილება სრულიად შესაძლებელი იყო. პოლიციის ჩინოსნის თქმით, მომხდარის გამო ბრალდებას იარაღის მფლობელს წაუყენებენ, რომელმაც მისი უსაფრთხოდ შენახვა ვერ უზრუნველყო.

# როტვეილერმა პატრონი დივანში ჩამალული შხამიანი გველისგან იხსნა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ კვინსბურგში როტვეილერის ჯიშის ძაღლმა პატრონი იხსნა შხამიანი გველისგან, რომელიც სახლში შეიპარა და დივანში დაიმალა.

ძაღლი ორი დღის განმავლობაში პატრონს დივანთან, რომელზეც დასვენება, ჩვეულებრივ, მამაკაცს უყვარდა, არ უშვებდა. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, სახლის პატრონი მიხვდა, რომ ძაღლი უყეფდა რაღაცას, რომელიც დივანში იყო ჩამალული, მან ავეჯი გასწია და მის უკან ჩამალული 2,2 მეტრი სიგრძის შავი მამბა აღმოაჩინა.

ძაღლმა ქვეწარმავლისკენ გაიწია, რათა მას შებრძოლებოდა, მაგრამ მამაკაცმა იმარჯვა, ის საყელურით გააკავა და რეპტილიასთან არ მიუშვა.

სახლის პატრონმა გველებზე მონადირე ნიკ ევანსი გამოიძახა, რომელიც შემთხვევის ადგილზე მივიდა და ქვეწარმავალი დაიჭირა. მან შავი მამბა დასახლებიდან მოშორებით გაიყვანა და ბუნებაში გაუშვა. აღნიშნული შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**კალეიდოსკოპი**

# ქალმა ქმარს ლატარიაში მოგება დაუმალა და სხვა მამაკაცთან წავიდა



ტაილანდელმა თავისი ყოფილი მეუღლე მისგან ლატარიაში მსხვილი მოგების დამალვასა და ამის შემდეგ სხვა მამაკაცთან გაქცევაში დაადანაშაულა.

ნარინი და ჩავივანი 20 წელი სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებოდნენ და სამი გოგონა შეეძინათ. 2014 წელს ოჯახი სამხრეთ კორეაში გაემგზავრა სამუშაოდ, რათა სამშობლოში ორი მილიონი ბატის დავალიანება დაეფარათ. შემდეგ 43 წლის ჩავივანი ტაილანდში დაბრუნდა შვილების მოსავლელად, ქმარმა კი საზღვარგარეთ მუშაობა გააგრძელა. ერთხელაც მას ქალიშვილებმა შეატყობინეს, რომ მისმა მეუღლემ ლატარიაში 12 მილიონი ბატი მოიგო. მამაკაცი ამის შემდეგ შეეცადა, მეუღლეს დაჰკავშირებოდა, მაგრამ ის მის ზარებს არ პასუხობდა. მაშინ მან გადაწყვიტა, თავად ჩასულიყო ტაილანდში მეუღლესთან დასალაპარაკებლად და მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მისი ცოლი სხვა მამაკაცზე გათხოვილიყო.

– გაოგნებული დავრჩი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. იმედგაცრუებული ვარ. არ მოველოდი, რომ 20 წლის თანაცხოვრების შემდეგ ჩემი ცოლი ასე მოიქცეოდა, – განაცხადა მამაკაცმა. მისი თქმით, მის საბანკო ანგარიშზე მხოლოდ 60 ათასი ბატია დარჩენილი, ვინაიდან ის ყოველთვე მეუღლეს გარკვეულ თანხას urიცხავდა.

ტაილანდელმა ქვეყანაში ცნობილ ადვოკატს მიმართა და სურს სასამართლოში დაამტკიცოს, რომ ყოფილი ცოლის მოგებიდან წილი მასაც ეკუთვნის.

თავის მხრივ, ქალი ბრალდებას უარყოფს და სასამართლოში შემხვედრი სარჩელი შეიტანა, რომელშიც ყოფილ მეუღლეს ცილისწამებაში ადანაშაულებს. ასევე, მისი სარჩელის თანახმად, ნარინი ცრუობს, როდესაც ამტკიცებს, რომ ყოველთვე მას 27-30 ათას ბატს urიცხავდა და სინამდვილეში მათი შვილები თვეში 3-4 ათას ბატს იღებდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რატომ გასცა ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ პუტინის დაპატიმრების ორდერი?!



ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ რუსეთის დიქტატორის ვლადიმერ პუტინის დაპატიმრების ორდერი გასცა. ამ ცნობამ მთელი მსოფლიო შეძრა. არავის აზრადაც არ მოსვლია კითხვა, თუ რატომ გასცა ჰააგის სასამართლომ პუტინის დაპატიმრების ორდერი. ის ფაქტი, რომ პუტინი დამნაშავეა, არავის ეჭვს არ იწვევს. უბრალოდ, რუსეთი დიდი ქვეყანაა და მისი დიქტატორის, თუნდაც დამნაშავის, დაპატიმრების ორდერის გაცემა ბევრს გაუკვირდა.

პუტინმა ჰააგის ტრიბუნალის განაჩენი დაიმსახურა: უკრაინაში შეჭრა და ომის გაჩაღება, ირპენის, ბუჩის, იზიუმის ხოცვა-ჟლეტები, მშვიდობიანი უკრაინული ქალაქების დაბომბვა, არაადამიანური დამოკიდებულება ტყვეებისადმი, მათი წამება და ხვრეტა. ეს ყველაფერი მართლაც შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ამავე დროს, უნდა ითქვას ისიც, რომ მსგავსი დანაშაული პუტინმა ჩაიდინა საქართველოში, ჩეჩნეთში, მოლდოვაში, ტაჯიკეთში. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სასამართლომ მისი დაპატიმრების ორდერი მხოლოდ ახლა გასცა.

უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი ყურადღებას ამახვილებს ორ მომენტზე: 1) უკრაინულმა დიპლომატიამ მართლაც აქტიურად იმუშავა; 2) პუტინმა ყველა დაგეგმილი ოპერაცია ჩააგდო. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი კიევის აღებას სამ დღეში აპირებდა. გავიდა ერთი წელი, კიევის აღების პერსპექტივები კი არ ჩანს.

– დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ უკრაინაში ელვისებური ომის პუტინისეული გეგმა ჩავარდა, – ამბობს ჟდანოვი.

ასევე სრული კრახი განიცადა დონბასის ან უკრაინის სამხრეთი რეგიონის ოკუპაციის იდეამაც. მართალია, რუსეთმა ამ მხარის მოსკოვთან შეერთების ფსევდო-რეფერენდუმები ჩაატარა, მაგრამ ამის იქით საქმე ვერ წავიდა. უკრაინელთა ელვისებური კონტრშეტევის შედეგად რუსებმა დატოვეს ხერსონი, ხარკოვსჩინა და ა.შ. კრახი განიცადა პუტინის მიერ დაგეგმილმა ზამთრის შეტევამაც. ამას არც მთელი უკრაინის პარალიზება არ მოჰყოლია, არც ევროპა გაიყინა. მეტიც, რუსებმა პატარა ქალაქი ბახმუტიც კი ვერ აიღეს, თუმცა საამისოდ რუსული არმიის ელიტური ნაწილები გამოიყვანეს.

– გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, რჩება მოვლენების შემდგომი განვითარების ორი სცენარი: ა) უკრაინელთა წარმატებული კონტრშეტევა და ყველა ოკუპირებული ტერიტორიის გათავისუფლება; ბ) ომის გაჭიანურება, – წერს ჟდანოვი.

რუსული ელიტისათვის ორივე სცენარი დამღუპველია. ამრიგად, მოსკოვს ერთადერთი გამოსავალი დარჩა: პუტინის დამხობა და ომის დასრულება. სხვა შემთხვევაში რუსეთში (უკვე 1-2 წლის შემდეგ) სოციალური აფეთქება გარდაუვალია. დასავლეთმაც ჰააგის დახმარებით რუსულ ელიტას ერთგვარად მწვანე შუქი აუნთო. საქმე ის არაა, რომ პუტინს უკვე ხვალ ვერ დააკავებენ. ჰააგის სასამართლოს სათანადო ბერკეტები არ გააჩნია. სამაგიეროდ, პუტინის დამხობას ან სულაც ლიკვიდაციას საერთაშორისო საზოგადოება უკვე გაგებით შეხვდება, მეტიც, ის ამას მხარს დაუჭერს.

ამრიგად, რუსეთში გამოიკვეთა ვითარება, როცა ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. მომავალი გვიჩვენებს, თუ როდის ან როგორ მოხდება ეს.

## პუტინმა ოკუპირებული მარიუპოლი მოინახულა

რუსეთის დიქტატორმა ვლადიმერ პუტინმა ოკუპირებული მარიუპოლი მოინახულა. მოსახლეობასთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყებას არ ნანობს.

– ეს ოპერაცია გაცილებით ადრე, უკვე 2014 წელს უნდა დაწყებულიყო, – თქვა პუტინმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## მამაკაცმა საავტომობილო გზაზე ხელით დიდი თევზი დაიჭირა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ უოტსონვილის მცხოვრებმა წყალდიდობის დროს საავტომობილო გზაზე შიშველი ხელებით დიდი თევზი დაიჭირა.

კალიფორნიას კოკისპირული წვიმები დაატყდა თავს, რამაც წყალდიდობა გამოიწვია. ერთ-ერთი თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ გამოდის მამაკაცი წყლით დაფარულ გზატკეცილზე და შიშველი ხელებით იჭერს ავტომობილებს შორის მცურავ დიდ თევზს. დაჭერილი თევზის სიგრძემ დაახლოებით 60 სანტიმეტრი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ წყალდიდობის შედეგად კიდევ ერთი ამერიკელი პატარა კუნძულად ქცეულ მონაკვეთზე მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც წყალმა მისი მანქანა დაფარა. ის უბედურების ზონიდან შვეულმფრენით გაიყვანეს.

წყალდიდობის გამო კი სულ 10 ათასამდე ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. გზები და გზატკეცილები წყალმა დაფარა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### სპორტი

# ვილი სანიოლი: „ნორვეგიას ჰოლანდი ჰყავს, ჩვენ — კაშია“



საქართველოს საფეხბურთო ნაკრები მარტში ორ მატჩს გამართავს: 25-ში ამხანაგურად ნორვეგიას ეთამაშება, ხოლო 28-ში 2024 წლის ევროშესარჩევის ეტაპის მატჩს – ნორვეგიას.

მოახლოებული მატჩების წინ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა პრესკონფერენცია გამართა.

**ვილი სანიოლი:**

– ხოჭოლავას საკითხი საკმაოდ უჩვეულოა. დიდი ხანია ვიცით, რომ მას მუხლი აწუხებს, მაგრამ კლუბის თხოვნას დათანხმდა და კვირას ითამაშა, 20 მარტს კი ოპერაცია უნდა გაიკეთოს. სამწუხაროდ, დათას 6-8 კვირა გაუცდება. ნაკრების დახმარების სურვილი ჰქონდა, მაგრამ ოპერაციის დროულად ჩატარება მნიშვნელოვანი იყო...

რა თქმა უნდა, სურვილი მაქვს, ჩემს ფეხბურთელებს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ, მაგრამ, პირადად მე, ვერაფერს შევცვლი. ზოგიერთი ფეხბურთელი ცოტას, ზოგი კი სულაც არ თამაშობს...

ნორვეგიასთან ძალიან პრინციპული დაპირისპირებაა და თითოეულ პოზიციაზე ერთი მუდმივი პრაქტიკის მქონე მოთამაშე აუცილებელია. შეხედეთ, მარცხენა ფლანგზე რა სიტუაციაა - წიტაიშვილს, აზაროვსა და გიორბელიძეს ბევრი დრო არ ეძლევათ. მომავალშიც თუ ასე გაგრძელდა, მაშინ მათი მოწვევისგან თავის შეკავება მომიწევს. რაც შეეხება ლუკა ლოჩოშვილს, მასაც ბოლო დროს ბევრი გაუცდა და სიაში ამიტომაც არაა.

საბა საზონოვს საქართველოს ნაკრებში თამაშის დიდი სურვილი აქვს. ჩემთვის ეს მთავარია, ახლა ვნახოთ, რამდენადაა მზად, ნორვეგიასთან ითამაშოს. საბას ვაკვირდები, მომწონს მისი ფეხბურთი და მიხარია, რომ ჩვენთან ითამაშებს...

საერთოდ, რუსეთის ჩემპიონატიდან ფეხბურთელების გამოძახებაზე კომენტარი არ გამი[illegible] — ლუკა გაგნიძე ძალიან ნიჭიერია და ჩემთვის მთავარია, ისინი ნაკრებს გამოადგნენ. გაგნიძე ახლა ამისთვის მზადაა. რაღაც მომენტში ფეხბურთისა და პოლიტიკის გამიჯვნა უნდა მოვახერხო და ნაკრების საუკეთესო ინტერესებზე ვიფიქრო...

რაც შეეხება ვაკო ყაზაიშვილს, გუნდში პატივისცემა და პოზიტიური გარემო უნდა იყოს და ამისთვის ყველა მუშაობდეს. თუ ასე არ ხდება, ეს დიდი პრობლემაა. ამ ეტაპზე ვაკოს გამოძახებაზე არ ვფიქრობ, მომავალში არაფერს გამოვრიცხავ...

ნორვეგიის ნაკრებს ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ამ დონის ნაკრებთან გვითამაშია და მოგვიგია კიდეც. ახალი ციკლი იწყება, საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ და მინდა, წინა ციკლში აკრეფილი კარგი ფორმა გავაგრძელოთ. თუ ნორვეგიას ერლინგ ჰოლანდი ჰყავს, ჩვენ გურამ კაშია გვყავს და ამ თემაზე საუბარს მოვრჩი...

ჩაკვეტაძე დიდი ხანია ნაკრებშია, ჰქონდა კარგი პერიოდი და ნაკრებისთვისაც სასარგებლო, შემდეგ რთულ პერიოდში დაუდგა და მაშინაც ვიძახებდით, რადგან ჩვენი მხარდაჭერა ეგრძნო. მიხარია, რომ ახლა მუდმივად თამაშობს. იმედია, ნაკრებს დაეხმარება, მაგრამ – სად, ამას მეტოქიდან გამომდინარე გადავწყვეტ. მთავარია, რომ ჯანმრთელია და ბევრს თამაშობს...

ფეხბურთელებმა თბილისში მიმდინარე მოვლენებზე საკუთარი აზრი გამოხატეს? მათ ყოველთვის შეუძლიათ, საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. მე უცხოელი ვარ, თქვენმა ქვეყანამ ძალიან თბილად მიმიღო და ამისთვის მადლობელი ვარ. სხვას ვერაფერს დავამატებ.

საქართველოს ნაკრებმა შეკრება გუშინ თბილისში არსებულ საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის ბაზაზე არასრული შემადგენლობით დაიწყო.

## მამუკელაშვილის სან ანტონიომ ნაგებული მატჩი შემოატრიალა





სანდრო მამუკელაშვილმა და სან ანტონიომ ატლანტა ჰოუქსს უმასპინძლეს და, მე-3 პერიოდში 24-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, გამარჯვება მოიპოვეს. სან ანტონიომ პირველ ნახევარში 83 ქულა მიიღო, სამაგიეროდ, მეორე ტაიმში სუპერდაცვა ითამაშა, მხოლოდ 35 ქულა გაუშვა და ამის წყალობით შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვა – 126:118.

მამუკელაშვილმა მოედანზე 19 წუთი გაატარა, რა დროშიც 7 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი და 1 დაფარება მიითვალა. სანდრომ 4-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი არ დაუკარგავს და 1 პერსონალური ფოლი მიიღო.

სპურსმა 19 მოგება და 52 მარცხი მოაგროვა და დასავლეთ კონფერენციაში ბოლოსწინა მე-14 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი 22 მარტს ნიუ ორლეანს პელიკანსთან ჩაატარებს.

გოგა ბითაძის ორლანდო მეჯიქი კი ლეიკერსს ესტუმრა და დაძაბულ ბრძოლაში 105:111 დამარცხდა.

ქართველმა ცენტრმა 15 წუთი ითამაშა, 3 ქულა, 4 მოხსნა, 2 დაფარება და თითო ჩაჭრა-პასი მოაგროვა. გოგამ სამიდან ერთი ორქულიანი და ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო.

ორლანდოს 29 მოგება აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-13 ადგილზეა. ბითაძის გუნდი მომდევნო მატჩს 22 მარტს ვაშინგტონთან გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### საზოგადოება

## ვასილ ამაშუკელი ქუთაისში გაიხსენეს



ქართველი რეჟისორი და კინოოპერატორი, პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის ავტორი ვასილ ამაშუკელი ქუთაისში გაიხსენეს. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება წელს უკვე 43-ედ გაიმართა.

ქართული კინოს პიონერის, უკვდავი ფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ ავტორის ვასილ ამაშუკელის ხსოვნას მწვანეყვავილას სასაფლაოზე კინომცოდნე გოგი დოლიძის ინიციატივით პატივი მიაგეს ქუთაისის ინტელიგენციამ, თბილისიდან ჩასულმა სტუმრებმა და იმერეთის გუბერნიის 12 რეგიონიდან ჩამოსულმა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა.

რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ კინომცოდნე გოგი დოლიძის ინიციატივით მისი სახელის უკვდავსაყოფად ყოველ წელს ცნობილი ადამიანები ქუთაისში მწვანეყვავილას სასაფლაოზე რეჟისორის საფლავზე იკრიბებიან, იხსენებენ მას და ყვავილებით ამკობენ მის საფლავს. ტრადიცია ბოლო 3 წლის განმავლობაში პანდემიის გამო დაირღვა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ მოსწავლეები ქუთაისის ნიღბების თეატრს ესტუმრნენ და სპექტაკლ „მხიარულ ჯამბაზებს“ დაესწრნენ. სპექტაკლში მოსწავლეების ჩართულობის წყალობით ვასილ ამაშუკელის ხსოვნის დღე საბავშვო-საყმაწვილო ზეიმად გადაიქცა.

## ამირან შალიკაშვილის უცნობი შემოქმედება საჯაროა



პანტომიმის თეატრის დამაარსებლის ამირან შალიკაშვილის უცნობი შემოქმედება საჯაროა.

22 მარტს მაესტროს 84 წლის იუბილესთან დაკავშირებით პანტომიმის თეატრში საღამო გაიმართება. „უცნობი შემოქმედება“ – ასე ჰქვია ღონისძიებას, სადაც პანტომიმის თეატრის შემქმნელის, არტისტისა და რეჟისორის ამირან შალიკაშვილის პოეზიას მაყურებელი პირველად მოისმენს. ღონისძიებაზე მსახიობები მაკა შალიკაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ეკა დობორჯგინიძე, გიორგი გურგენიძე, სოფო ლოლაძე, გიორგი ტიელიძე, გიორგი აფშილავა, სალომე ფილიშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, გიგი ლორია, იაკო მიმინოშვილი მისი კრებულიდან ლექსებს წაიკითხავენ, დასასრულს კი პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“ ნაწყვეტს გაითამაშებენ, რომლის სცენოგრაფიაც დიდ რეჟისორს ეკუთვნის.

ამირან შალიკაშვილის დაბადების დღეზე შედგება პრემიერა – პირველად დაიწერა სიმღერები ამირან შალიკაშვილის ლექსებზე კომპოზიტორ გოგი ჩლაიძის მიერ. სიმღერას მომღერალი ეკატერინე მდივანი შეასრულებს.

მაესტროს 84-ე დაბადების დღისადმი მიძღვნილ საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: ალმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენებების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ბორჯღალოსნები რაგბი ევროპის ჩემპიონები მეთხუთმეტედ გახდნენ

**საქართველო-პორტუგალია 38:11**

საქართველოს რაგბის ნაკრებმა პორტუგალიელთა წინააღმდეგობა მეორე ნახევარში დაძლია და 2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალში დამაჯერებლად დაამარცხა – 38:11.

ეს იყო საქართველოს მე-100 გამარჯვება ტურნირზე 2000 წლიდან დღემდე ჩატარებულ 118 შეხვედრაში; ბორჯღალოსნებმა რაგბი ევროპაზე წაუგებელი მატჩების სერია 29-მდე გაზარდეს, რაც სარეკორდო მაჩვენებელია; უშუალოდ პორტუგალია 2006 წლიდან დღემდე გამართულ 18 მატჩში მეთხუთმეტედ დავამარცხეთ (3 ფრე); ამ მოგების შემდეგ ჩვენმა გუნდმა მსოფლიო რეიტინგში სარეკორდო, მე-11 ადგილზე აინაცვლა, რომელსაც წლების წინ 2 კვირით ვიკავებდით.

ინდივიდუალურად, სანდრო თოდუა მე-13 ტიტულის დაუფლა; აკა ტაბუცაძემ ფინალში დუბლი შეასრულა, ჯამში 28 თამაშში 27 ლელო მოუგროვდა და გაუტოლდა საქართველოს ნაკრების საუკეთესო მელელოვე მამუკა გორგოძეს; გარდა ამისა, ტაბუცაძე წელს გატანილი 8 ლელოთი ტურნირის საუკეთესო მელელოვე გახდა.

პორტუგალიის საზღვართან მდებარე ესპანურ ქალაქ ბადახოსში გამართული ფინალის პირველი ტაიმი დაძაბული გამოდგა. ნერვიულობის ფონზე, საქართველომ შეცდომები დაუშვა, რითაც კარგად ისარგებლა პორტუგალიამ და თამაშში დარჩა.



ანგარიში მე-6 წუთზე სწორედ მეტოქემ გახსნა, როდესაც ჩვენს 22-ში დავჯარიმდით, პორტუგალიელებმა ბურთი სწრაფად გაათამაშეს, მარცხენა ფრთაზე გაშალეს და ტუმაშ ეპლთონმა ლელოთი ანგარიში გახსნა. ბორჯღალოსნებმა სწრაფად უპასუხეს, მორკინალებით მიძალების შემდეგ შეტევის ფრთა ორჯერ შეცვალეს და აგრესიული დაცვის მიუხედავად, მარჯვენა ფრთაზე საჭირო სივრცე გამოათავისუფლეს, სადაც აკა ტაბუცაძე გაიქცა და ლელოთი წონასწორობა აღადგინა, თედო აბჟანდაძემ კი გარდასახვით დაგვაწინაურა.

ტექნიკური წუნის მიუხედავად, ბორჯღალოსნებმა აგრესიული დაცვით შეძლეს ლელოს დაცვა, 25-ე წუთზე კარგი კომბინაცია ტაბუცაძის დუბლით დასრულდა. მანამდე აბჟანდაძის ფეხით დარტყმულს ვასილ ლობჟანიძე აჰყვა და ბურთიანი მცველი მისსავე 22-ში შებოჭა, ბექა სალინაძემ ძლიერი ბიძგით აუტში გადაიყვანა. დერეფანს მორკინალების რამდენიმე დარტყმა მოყვა, მერაბ შარიქაძის საუცხოო პასის შემდეგ კი ტაბუცაძემ ხაზი სუფთად გაჭრა. გარდასახვა მიზანს ასცდა.

მალევე მერაბ შარიქაძე მოედნიდან 10 წუთით გააძევეს, რიცხობრივ უპირატესობაში კი აპენინელებმა იხეირეს, სიმაუ ბენტუმ ორი ჯარიმა გაიტანა – 12:11.

მეორე ტაიმში ბორჯღალოსნებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს. ტაბუცაძემ დებიუტშივე გაჭრა ხაზი და დავით ნინიაშვილის ლელო წინ თამაშის გამო გაუქმდა, მაგრამ იქვე დერეფნიდან მოლი ავაგორეთ, 5 მეტრი სწრაფად დაიფარა და შალვა მამუკაშვილმა გუნდის მესამე ლელო მიითვალა.

თამაში საქართველოს დომინაციით გაგრძელდა, თუმცა პორტუგალიამ ერთიც გაიბრძოლა და ლელოსგან სალინაძემ გვიხსნა, დასკვნით 20 წუთში კი მომავალი ჩემპიონის სრული უპირატესობა გამოიკვეთა.

ტაიმის შუაში ნინიაშვილმა თავისი 22-დან წამოიწყო კონტრშეტევა, ტაბუცაძემ და დემე თაფლაძემ ფრთაზე სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და თითქოს ლელო გარდაუვალი იყო, მაგრამ წინ პასის გამო შეტევა უქულოდ დასრულდა. სამაგიეროდ, მეტოქე მისსავე შერკინებაში დავაჯარიმეთ, მოლს ფორვარდების მიძალება და 63-ე წუთზე გურამ პაპიძის ლელო მოჰყვა, ხოლო აბჟანდაძემ გარდასახა.

პორტუგალია გატყდა და 69-ე წუთზე მორიგი ლამაზი ლელო გავიდა. მარჯვენა ფრთაზე ტაბუცაძემ სიჩქარე აკრიფა, რომელსაც კარგად მიჰყვა დემე თაფლაძე და შეტევა ლოგიკური ლელოთი დაასრულა. გარდასახვა ლუკა მატკავამ შეასრულა. მატჩის მიწურულს კიდევ ერთხელ ავაგორეთ მოლი, რომელსაც ბოლო წამს გიორგი ჭყოიძე მოწყდა და მეექვსე ლელო გაიტანა, მატკავამ კი გარდასახვით საფინალო შედეგი დააფიქსირა – 38:11.

ბორჯღალოსნებმა ჩემპიონის ოქროს მედლები და თასი რაგბი ევროპის პრეზიდენტისგან – ოქტავიან მორარიუსა და საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე გოგებაშვილისგან ჩაიბარეს.

## იმერული დერბი უგოლოდ დასრულდა

**სამგურალი-ტორპედო 0:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი, ბული (კალანდარიშვილი 61), არტური, ლომინაძე, ნ.ხორხელი (ლ.ხორხელი 65), ჩიხლაძე (ს.კუხიანიძე 65), კაგაიამა, ჯეფინიო

**ტორპედო:** კვასხვაძე, გეგეჭკორი, მონტეირო, სანდოხაძე (ქობულაძე 46), ნადარაია (მჭედლიშვილი 76), სამურკასოვი (კაბალიერო 63), მანჯგალაძე, ქიმაძე (ფელაი 63), შერგელაშვილი, ნეტო (შულაია 63), კაჭარავა



ზესტაფონში გამართული მატჩი უგოლოდ დასრულდა. ბევრი საგოლე მომენტიც არ შექმნილა და, მთლიანობაში, ფრე ლოგიკური შედეგი იყო. ტორპედომ მიმდინარე ჩემპიონატში მესამე 0:0 ითამაშა.

თუ მოსაგები იყო, ტორპედოს უფრო უნდა მოეგო, რადგან მცირე რაოდენობის, მაგრამ საგოლე შანსები ჰქონდა: პირველ ტაიმში ნიკა კაჭარავას ძალიან რეალური მომენტი შეექმნა, მაგრამ ძალიან ახლოდან დარტყმული ბურთი ლევან შოვნაძემ აუღო; სამგურალის მეკარემ მეორე ტაიმში მასთან პირისპირ გასულ ალდაირ ნეტოს არ გაატანინა; მოკლედ, სამგურალს ქულა მეკარემ მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 5 | 4 | 1 | 0 | 15-6 | 13 |
| 2.დინამო (ბთ) | 5 | 4 | 1 | 0 | 13-6 | 13 |
| 3.ტორპედო | 5 | 2 | 3 | 0 | 5-1 | 9 |
| 4.სამგურალი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 5.დილა | 5 | 1 | 3 | 1 | 4-3 | 6 |
| 6.საბურთალო | 5 | 1 | 3 | 1 | 6-7 | 6 |
| 7.თელავი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 8.სამტრედია | 5 | 1 | 1 | 3 | 6-12 | 4 |
| 9.შუქურა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-9 | 3 |
| 10.გაგრა | 5 | 0 | 1 | 4 | 8-16 | 1 |

## შედეგები

**19 მარტი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-კრ.პალასი ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 28 | 22 | 3 | 3 | 66-26 | 69 |
| 2.სიტი | 27 | 19 | 4 | 4 | 67-25 | 61 |
| 3.მანჩესტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 41-35 | 50 |
| 4.ტოტენჰემი | 28 | 15 | 4 | 9 | 52-40 | 49 |
| 5.ნიუკასლი | 26 | 12 | 11 | 3 | 39-19 | 47 |
| 6.ლივერპული | 26 | 12 | 6 | 8 | 47-29 | 42 |
| 7.ბრაიტონი | 25 | 12 | 6 | 7 | 46-31 | 42 |
| 8.ბრენტფორდი | 27 | 10 | 12 | 5 | 43-34 | 42 |
| 9.ფულემი | 27 | 11 | 6 | 10 | 38-37 | 39 |
| 10.ჩელსი | 27 | 10 | 8 | 9 | 29-28 | 38 |
| 11.ასტონ ვილა | 27 | 11 | 5 | 11 | 35-39 | 38 |
| 12.კრ.პალასი | 28 | 6 | 9 | 13 | 22-38 | 27 |
| 13.ვულვზი | 28 | 7 | 6 | 15 | 22-41 | 27 |
| 14.ლიდსი | 27 | 6 | 8 | 13 | 35-44 | 26 |
| 15.ევერტონი | 28 | 6 | 8 | 14 | 22-40 | 26 |
| 16.ნოტინგემი | 27 | 6 | 8 | 13 | 22-49 | 26 |
| 17.ლესტერი | 27 | 7 | 4 | 16 | 38-47 | 25 |
| 18.ვესტ ჰემი | 26 | 6 | 6 | 14 | 24-34 | 24 |
| 19.ბორნმუთი | 27 | 6 | 6 | 15 | 25-54 | 24 |
| 20.საუთჰემპტონი | 28 | 6 | 5 | 17 | 23-46 | 23 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სუონსი-ბრისტოლი ........ 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

უნიონი-აინტრახტი ........ 2:0
ლევერკუზენი-ბაიერნი ........ 2:1
მაინცი-ფრაიბურგი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 25 | 17 | 2 | 6 | 55-31 | 53 |
| 2.ბაიერნი | 25 | 15 | 7 | 3 | 72-27 | 52 |
| 3.უნიონი | 25 | 14 | 6 | 5 | 38-28 | 48 |
| 4.ლაიფციგი | 25 | 13 | 6 | 6 | 49-30 | 45 |
| 5.ფრაიბურგი | 25 | 13 | 7 | 5 | 38-34 | 46 |
| 6.აინტრახტი | 25 | 11 | 7 | 7 | 46-36 | 40 |
| 7.ვოლფსბურგი | 25 | 10 | 8 | 7 | 44-32 | 38 |
| 8.ლევერკუზენი | 25 | 11 | 4 | 10 | 45-40 | 37 |
| 9.მაინცი | 25 | 10 | 7 | 8 | 40-36 | 37 |
| 10.გლადბახი | 25 | 8 | 7 | 10 | 40-44 | 31 |
| 11.ვერდერი | 25 | 9 | 4 | 12 | 39-48 | 31 |
| 12.აუგსბურგი | 25 | 8 | 4 | 13 | 32-45 | 28 |
| 13.კიოლნი | 25 | 6 | 9 | 10 | 33-44 | 27 |
| 14.ბოხუმი | 25 | 8 | 1 | 16 | 27-56 | 25 |
| 15.ჰოფენჰაიმი | 25 | 6 | 4 | 15 | 33-45 | 22 |
| 16.ჰერტა | 25 | 5 | 6 | 14 | 30-48 | 21 |
| 17.შალკე | 25 | 4 | 9 | 12 | 21-45 | 21 |
| 18.შტუტგარტი | 25 | 4 | 8 | 13 | 29-42 | 20 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ჰანოვერი ........ 1:0
ჰანზა-ფორტუნა ........ 2:5
ზანდჰაუზენი-ზ.პაული ........ 0:5

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-მალიორკა ........ 1:0
ოსასუნა-ვილიარეალი ........ 0:3
სოსიედადი-ელჩე ........ 2:0
ხეტაფე-სევილია ........ 2:0
ბარსელონა-რეალი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 22 | 2 | 2 | 49-9 | 68 |
| 2.რეალი | 26 | 17 | 5 | 4 | 51-21 | 56 |
| 3.ატლეტიკო | 26 | 15 | 6 | 5 | 42-19 | 51 |
| 4.სოსიედადი | 26 | 14 | 6 | 6 | 35-24 | 48 |
| 5.ბეტისი | 26 | 13 | 6 | 7 | 34-26 | 45 |
| 6.ვილიარეალი | 26 | 12 | 5 | 9 | 32-24 | 41 |
| 7.ბილბაო | 26 | 10 | 6 | 10 | 36-28 | 36 |
| 8.რაიო | 26 | 9 | 9 | 8 | 31-30 | 36 |
| 9.ოსასუნა | 26 | 9 | 7 | 10 | 22-27 | 34 |
| 10.სელტა | 26 | 9 | 7 | 10 | 32-35 | 34 |
| 11.მალიორკა | 26 | 9 | 5 | 12 | 22-27 | 32 |
| 12.ხირონა | 26 | 8 | 7 | 11 | 40-41 | 31 |
| 13.ხეტაფე | 26 | 7 | 8 | 11 | 27-34 | 29 |
| 14.სევილია | 26 | 7 | 7 | 12 | 29-42 | 28 |
| 15.კადისი | 26 | 6 | 10 | 10 | 21-38 | 28 |
| 16.ვალიადოლიდი | 26 | 8 | 4 | 14 | 20-38 | 28 |
| 17.ესპანიოლი | 26 | 6 | 9 | 11 | 32-42 | 27 |
| 18.ვალენსია | 26 | 7 | 5 | 14 | 28-31 | 26 |
| 19.ალმერია | 26 | 7 | 5 | 14 | 30-45 | 26 |
| 20.ელჩე | 26 | 2 | 7 | 17 | 19-51 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბურგოსი-ხიხონი ........ 0:0
უესკა-სარაგოსა ........ 1:1
ვილიარეალი ბ-კარტახენა ........ 5:2
ლუგო-რასინგი ........ 1:1

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ვერონა ........ 3:1
ტორინო-ნაპოლი ........ 0:4

**ნაპოლის მეორე გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა**

ფიორენტინა-ლეჩე ........ 1:0
ლაციო-რომა ........ 1:0
ინტერი-იუვენტუსი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 27 | 23 | 2 | 2 | 64-16 | 71 |
| 2.ლაციო | 27 | 15 | 7 | 5 | 42-19 | 52 |
| 3.ინტერი | 27 | 16 | 2 | 9 | 47-31 | 50 |
| 4.მილანი | 27 | 14 | 6 | 7 | 44-36 | 48 |
| 5.რომა | 27 | 14 | 5 | 8 | 35-26 | 47 |
| 6.ატალანტა | 26 | 12 | 6 | 8 | 42-30 | 42 |
| 7.იუვენტუსი | 27 | 17 | 5 | 5 | 44-22 | 41 |
| 8.უდინეზე | 27 | 9 | 11 | 7 | 37-31 | 38 |
| 9.ფიორენტინა | 27 | 10 | 7 | 10 | 32-31 | 37 |
| 10.ბოლონია | 27 | 10 | 7 | 10 | 33-36 | 37 |
| 11.ტორინო | 27 | 10 | 7 | 10 | 29-33 | 37 |
| 12.მონცა | 27 | 9 | 7 | 11 | 32-37 | 34 |
| 13.სასუოლო | 26 | 9 | 6 | 11 | 34-40 | 33 |
| 14.ემპოლი | 26 | 6 | 10 | 10 | 23-34 | 28 |
| 15.ლეჩე | 27 | 6 | 9 | 12 | 24-32 | 27 |
| 16.სალერნიტანა | 27 | 6 | 9 | 12 | 31-47 | 27 |
| 17.სპეცია | 26 | 5 | 8 | 13 | 23-42 | 21 |
| 18.ვერონა | 27 | 4 | 7 | 16 | 22-41 | 19 |
| 19.სამპდორია | 27 | 3 | 6 | 18 | 16-44 | 15 |
| 20.კრემონეზე | 27 | 1 | 10 | 16 | 22-49 | 13 |

შენიშვნა:

იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ტერნანა-ბარი ........ 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

აიაჩო-მონაკო ........ 0:2
მონპელიე-კლერმონი ........ 2:1
ნიცა-ლორიანი ........ 1:1
სტრასბური-ოსერი ........ 2:0
ტრუა-ბრესტი ........ 2:2
პსჟ-რენი ........ 0:2
რეიმსი-მარსელი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 21 | 3 | 4 | 68-28 | 66 |
| 2.ლანსი | 28 | 16 | 9 | 3 | 47-21 | 57 |
| 3.მარსელი | 28 | 17 | 5 | 6 | 52-29 | 56 |
| 4.მონაკო | 28 | 16 | 6 | 6 | 57-37 | 54 |
| 5.რენი | 28 | 17 | 5 | 7 | 48-28 | 53 |
| 6.ლილი | 28 | 14 | 7 | 7 | 51-36 | 49 |
| 7.ნიცა | 28 | 11 | 11 | 6 | 37-25 | 44 |
| 8.ლორიანი | 28 | 12 | 8 | 8 | 41-37 | 44 |
| 9.რეიმსი | 28 | 10 | 13 | 5 | 36-28 | 43 |
| 10.ლიონი | 28 | 11 | 8 | 9 | 43-32 | 41 |
| 13.მონპელიე | 28 | 11 | 3 | 14 | 44-47 | 36 |
| 11.ტულუზა | 28 | 10 | 5 | 13 | 43-48 | 35 |
| 12.კლერმონი | 28 | 9 | 7 | 12 | 27-40 | 34 |
| 14.ნანტი | 28 | 6 | 12 | 10 | 30-37 | 30 |
| 15.სტრასბური | 28 | 5 | 11 | 12 | 34-46 | 26 |
| 16.ბრესტი | 28 | 5 | 9 | 14 | 30-46 | 24 |
| 17.ოსერი | 28 | 5 | 8 | 15 | 23-51 | 23 |
| 18.ტრუა | 28 | 4 | 9 | 15 | 38-61 | 21 |
| 19.აიაჩო | 28 | 6 | 3 | 19 | 20-50 | 21 |
| 20.ანჟე | 28 | 2 | 4 | 22 | 21-63 | 10 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

კასა პია-მაროტიმუ ........ 2:0
ბრაგა-პორტუ ........ 0:0
ბოავიშტა-ფამილიკაუ ........ 1:2

**ნიდერლანდები. ეჩედივიზიონი**

გრონინგენი-ჰერენვენი ........ 0:2
აიაქსი-ფეინოორდი ........ 2:3
ექსელსიორი-კამბური ........ 4:1
ვიტესი-პსვ ........ 1:1
ტვენტე-ალკმაარი ........ 2:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-შარლერუა ........ 0:1
ლეუვენი-ანდერლეხტი ........ 0:2
სენ ჟილუა-მეხელენი ........ 2:1
გენტი-ეუპენი ........ 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ანკარაგიუჯიუ ........ 2:0
ქარაგუმრუქი-ბაშაქშეჰირი ........ 2:2
ალანია-ფენერბახჩე ........ 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-რაპიდი ........ 2:0
ლუშტენაუ-კლაგენფურტი ........ 4:2
ტიროლი-შტურმი ........ 0:2
ზალცბურგი-ალტახი ........ 1:1
რიდი-ვოლფსბერგერი ........ 0:0
ჰარტბერგი-ლინცერი ........ 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვოლოსი-ოლიმპიაკოსი ........ 0:3
არისი-პაოკი ........ 1:2
აეკი-პანათინაიკოსი ........ 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვინთენთური-სტ.გალენი ........ 1:0
ლუგანო-სერვეტი ........ 1:1
იანგ ბოიზი-ბაზელი ........ 3:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბრნო-იაბლონეცი ........ 1:2
პარდუბიცე-ტეპლიცე ........ 3:1
სლოვაცკო-ზლინი ........ 3:0
პლზენი-ბოჰემიანსი 1905 ........ 1:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვარტა-ლეხია ........ 2:0
ლეგნიცა-პიასტი ........ 0:1
ლოძი-ლეხი ........ 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ინგულეცი-ჩერნომორეცი ........ 1:2
კოლოსი-მინაი ........ 0:1
შახტარი-რუხი ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ჰორსენსი ........ 1:1
ნორდსიელანდი-ბრონდბიუ ........ 2:1
ოლბორგი-რანდერსი ........ 0:1
ორხუსი-ოდენსე ........ 1:0
სილკებორგი-მიდტიულანდი ........ 3:3
კოპენჰაგენი-ვიბორგი ........ 2:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*


## სამგლოვიარო განცხადებები



### ნანა (ნანული) გუნიას გახსენება

ჩემო საყვარელო ნანა, გილოცავ დაბადების დღეს – 21 მარტს.

უშენოდ შესრულდა ერთი წელი, ხუთი თვე, 21 დღე.

ეს პერიოდი გაუსაძლისი იყო შენი შვილებისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, ვისაც შენ უყვარდი და ვინც შენ გიყვარდა. ყველას გვაკლია შენი სითბო, ღიმილი. გვენატრები.

ლენა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ხახვით, ძმრითა და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. ფირმა „ნაიკის" დამფუძნებელი; 3. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 4. ფულის ერთეული ისრაელში; 7. წვრილად აჭრილი ყურძნის მტევნები; 9. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 12. შაქრით შეზავებული ცხელი წითელი ღვინო; 14. საკათედრო ტაძარი თბილისში; 15. გემთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი უკრაინაში; 17. მონასტერი ჯავახეთში; 20. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 5. ნავთობის უდიდესი საბადო ყაზახეთში; 6. ქართველი სუმოისტი; 8. აეროპორტი ლონდონში; 10. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 11. საფრანგეთში წარმოშობილი არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 16. ფრანგული სამხედრო-სადესანტო ვერტმფრენმზიდი გემების სერია; 18. სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი სამხედრო შეთქმულთა ჯგუფი; 19. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 21. სტადიონი ლონდონში; 22. ქალაქი აშშ-ში, სადაც გაიხსნა პირველი დისნეი-ლენდი; 23. ფრანგი მოდელიერი მამაკაცი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გობსეკი; 2. საფერავი; 3. ქანთრი; 4. ყანწი; 5. ცაგარელი; 8. ვერდიქტი; 12. ბულა; 13. არლეკინო; 14. ეგრისი; 16. მანიანი; 18. ჯაყვა; 20. ევრო.

**თარაზულად:** 6. პოტენცია; 7. ავადჰარა; 8. ვენერა; 9. ხეპრე; 10. პასკვილი; 11. ჩოქბჯენი; 15. არმსტრონგი; 17. კამორა; 19. სუპერმენი; 21. სინდიყი; 22. კონტრალტო; 23. გოდერძი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მალვაზია; 2. დიორი; 3. არველაძე; 4. ჰომერი; 7. უნაბი; 9. დირსი; 12. სტრასბურგი; 14. ანიელი; 15. თუშმალი; 17. ბურვილი; 20. ჯილდა.

**თარაზულად:** 5. მარტვილი; 6. ჰორაციო; 8. ფარვანა; 10. ქობულაძე; 11. დიქცია; 13. ოპერეტა; 16. ჰიდრანტი; 18. ფუქსი; 19. ფშავი; 21. ნიბლია; 22. ალავერდი; 23. ენოლოგი.

ახალი თაობა
akhalitaoba.ge
21 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5763
ევრო — 2.7564
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1446
100 რუსული რუბლი — 3.3416

## ამინდის პროგნოზი 21 მარტისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხავი: „რეალთან გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე რეალი დაამარცხა ანგარიშით 2:1 და კატალონიელებმა 12-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. მატჩის შემდეგ ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა თქვა, რომ მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა: „რეალი ყოველთვის უხერხული მეტოქეა და მათ წინააღმდეგ თამაში რთულია. მეორე ტაიმში მათ პრობლემები შეგვიქმნეს, მაგრამ ჩვენ ღირსეულად შევძელით თავის დაღწევა და ბოლო წუთზე გოლი გავიტანეთ. ეს გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია“.

## ბენზემა: „რეალი ჩემპიონობას დაემშვიდობა“



მადრიდის რეალი ბარსელონასთან დამარცხდა და მათ ჩემპიონობის შანსი საგრძნობლად შეუმცირდათ. კარიმ ბენზემა დარწმუნებულია, რომ რეალს ჩემპიონობის შანსი თითქმის არა აქვს და მათ კონცენტრაცია ჩემპიონთა ლიგაზე უნდა გააკეთონ: „სამწუხაროდ, დასაწანი მარცხი ვიწვნიეთ და ესპანეთის ჩემპიონატის მოგება ძალიან გაგვიჭირდება. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ აქცენტს ჩემპიონთა ლიგაზე გავაკეთებთ“.

## მესი ბარსელონაში დაბრუნებას აპირებს



ლიონელ მესი პსჟ-ში ბედნიერი არ არის და, არსებობს იმის ალბათობა, რომ ზაფხულში ის ბარსელონაში დაბრუნდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პსჟ-ს გულშემატკივრების ნაწილმა მესის დაუსტვინა, რადგან ისინი თვლიან, რომ არგენტინელი სათანადოდ არ ირჯება მათი გუნდისთვის. რენთან მატჩის შემდეგ მესი პირდაპირ გასახდელში წავიდა და გულშემატკივარს არ მიესალმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

●●●

გაძარცვულ სომეხ მეზობელს მეორე მეზობელი ეკითხება:

– მართალია, რომ ბანდიტებს მთელი შენი ფული და ოქრო მიეცი?

– მართალია... უკან სარჩილავი შემირჭეს, მუცელზე უთო დამადეს და დენზე შეაერთეს!

– და მერე ადექი და მაშინვე მიეცი?

– აბა, რა მექნა, მეცადა, სანამ დენსაც დაწვავდნენ?!

●●●

მამაკაცი ჩივის:

– ეს რა ბორდელია?! დასალევიც კი არ გაქვთ!

– ახალგაზრდავ, მოპირდაპირედ მდებარე მაღაზიაში მეძავები არ ჰყავთ, მაგრამ ამის გამო არავინ ჩივის!

●●●

სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი ეუბნება:

– დღეს ნაგავი რომ გავიტანე გადასაყრელად, ბუნკერთან ახალთახალი, ძალიან ლამაზი ჩექმები ეწყო. მოვიზომე და ჩემი ფეხის ზომის აღმოჩნდა. ავდექი და წამოვიღე.

– მართლა? ჰოო, მაგრად გაგიმართლა.

რამდენიმე დღის შემდეგ ცოლი ქმარს ისევ ეუბნება:

– დღეს სადარბაზოში ახალთახალ ბეწვის ქურქს გადავაწყდი. ავიღე, ჩავიცვი და ჩემი ზომის აღმოჩნდა.

– ჰოო, სულ შენ გიმართლებს, მე კი, წარმოგიდგენია, გუშინ ბალიშის ქვეშ ტრუსები ვნახე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ზომის არ აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ჯემალ სეფიაშვილმა ქორწინების 50 წლის იუბილე აღნიშნა



კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმა მეუღლესთან, შვილთან, შვილიშვილებთან და უახლოეს ადამიანებთან ერთად ქორწინების 50 წლის იუბილე რესტორან „ბაბილონში“ აღნიშნა. ოქროს ქორწილში მომღერლები, მსახიობები, კომპოზიტორები, რეჟისორები იყვნენ მიწვეული.

**ზურა ხაჩიძე, მომღერალი:**

– ვულოცავ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით დიდ მაესტროს ჯემალ სეფიაშვილს და მის არაჩვეულებრივ მეუღლეს, ქალბატონ მანანას, 50 წლის სიყვარულით განვლილ წლებს! მიყვარხართ და მინდა, კიდევ დიდი ხანი იყოთ ბედნიერები თქვენს შვილთან და შვილიშვილებთან ერთად.

## ნიკოლოზ წულუკიძე ქართული თეატრის აქამდე უცნობ ისტორიებს გააცოცხლებს




თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ისტორიებს გააცოცხლებს.

„ქართული თეატრის ამბავი ანუ...“ – ასე ჰქვია საღამოს, რომელიც 27 მარტს რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე იქნება წარმოდგენილი.

თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ნიკოლოზ წულუკიძე ანსამბლ „სუხიშვილებთან“, ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრთან და მაესტრო ნიკა ნიკვაშვილთან ერთად შეკრებილ საზოგადოებას ქართული თეატრის აქამდე უცნობ ისტორიებს მოუთხრობს.

საღამოში ასევე მონაწილეობას მიიღებენ მომღერალი კატო კვარაცხელია და რუსთაველის თეატრის მსახიობები ნანა ფაჩუაშვილი, თათული დოლიძე და მარინა კახიანი. საღამოს რეჟისორი კი ნიკოლოზ საბაშვილია.

## ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამო ზუგდიდში გაიმართა



კომპოზიტორისა და მომღერლის ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამო ზუგდიდში გაიმართა. მისი შვილების დათო და ია შულლიაშვილების ინიციატივით შეკრებილმა მსმენელმა კიდევ ერთხელ ისიამოვნა ინოლას უკვდავი შემოქმედებით.

**ნიკოლოზ რაჭველი, ეროვნული სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი:**

– ზუგდიდს მივაშურე, სადაც მონაწილეობა მივიღე ინოლას პოეზიისა და მუსიკის საღამოში ია და დათო შულლიაშვილებთან, თამარ თოლორდავასთან, თემურ მაისაშვილთან და „ჯორჯიან სიქსთან“ ერთად. ძალიან თბილი და დაუვიწყარი საღამო გამოვიდა, რისთვისაც მადლობა ზუგდიდელებსა და ქალაქის მერს პროექტის მხარდაჭერისთვის.

## გიორგი კეკელიძე: „მწერლისა და მოქალაქის ვალია, იდგეს მმართველის ოპოზიციად!“

ასე მიაჩნია მწერალსა და პოეტს, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს გიორგი კეკელიძეს, რომელსაც ბოლო დღეებში საშინელ ტალახს ესვრიან:

– ღიმილით ვუმზერ მმართველი პარტიიდან ჩემი ბავშვობის მეგობრების უწყინარ დუმილს, გუშინ ჩემი მაქებარი პარლამენტარების – ყველა პარტიიდან – მდუმარე თანხმობასვე, რომ ფაშისტი გესტაპო თუ რალაც ამდაგვარი ვარ, ზოგიერთი მედიიდან გუშინ „საქართველოს საუკეთესო შვილს“ რომ მეძახდა, იმ ჟურნალისტებს, პროფესიონალებსა და კარგ ადამიანებს, სულ რომ გვერდით ვედექი, ზოგი დამფრთხალი თანამებრძოლისა და საქმეებში გვერდით მდგომების გაფაციცებულ თვალებსაც ვხედავ, ოღონდ ბუნტი ნუ იქნებას მზერით, აქეთა ფლანგზე ვითომ „ლიბერალური ბაბლების“ ვიწრო ფიქრებსაც, რომლებიც ისეთივე წარმატებით გამოგჭრიან ყელს – თვითონ ფაშისტებს რომ ეძახიან, იმათ გაუჭირდებათ. დუმს უფლებადამცველთა ნაწილი, ეტყობა, საკმარისად ძლიერი ვგონივართ, რომ ამ ომს თითქმის მარტომყოფი მოვიგებთ. თუმცა, რატომ მარტო? განა უმადური ვარ – მეგობრებსაც ვხედავ, ხმალამოღებულები რომ მიცავენ, რისგან და რის გამო – კი არის კომიკური, და, რაც მთავარია, ათიათასობით უცხო ადამიანს, რომლებიც მხოლოდ სიყვარულს მიზიარებენ და მამხნევებენ ამ საშინელ მანქანასთან პირისპირ მდგომს. ყველამ ხომ იცის, ცილისმწამებელმა, ძველმაც და ახალმაც, დღევანდელმა და ხვალინდელმაც, გულში მაინც ხომ იცის, რომ მთელი სიცოცხლე მხოლოდ კარგის კეთებას ვცდილობდი და, თუ ვინმესთვის რამე დამიშავებია – უნებლიეთ. თუმცა ცხოვრება სამართლიანობის პრინციპს ძნელად ეფუძნება. მორალის ფსკერი გახვრიტეს – თავის მოკვლა გაითამაშაო, ეტყობა, რალაც კომპრომატი აქვთო. რომელიმე მხარეს რომ ჩემზე რამე რეალური კომპრომატის მაგვარიც კი ჰქონდეს, ან საიდან, ამდენი ხანი, სულ მცირე, საკუთარ თამაშში არ ჩამრთავდა? ჩამრთავდა. ამასაც აისხლიტავთ. აისხლიტეთ. თქვენ ხომ ის ხალხი ხართ, რომელთაც კერძო მიზეზის გარეშე პოზიციის გამოხატვა შეუძლებლად მიგაჩნიათ. არ სჯერათ, რომ შეგიძლია, რამე თქვა განსხვავებული, როგორც მოქალაქემ და ან „ნაცი“ არ იყო, ან „ქოცი“. ეს უნდა დავანახოთ. ეს უნდა დავაჯეროთ.



მე თუ ქვეყნისთვის საზოგადოდ მნიშვნელოვანი ამბავი არ არის, არ ვერევი, შეიძლება, ეს ჩემი ნაკლია კიდეც, მაგრამ ასეა. ამ ორი კვირის მანძილზე კი ჩემეული აქტიურობა ჩამონათვალში ასე ერთი შეხედვით ეჭვშეუვალ (თითქმის), ბანალურ ჭეშმარიტებებად მოჩანს.

1) ვთქვი, რომ საქართველო ევროპაა და ამის გადახედვა არ გამოვა;

2) ვთქვი, რომ ამ კანონის მიღება არ არის კარგი, რომ მტერს ახარებს და მოყვარეს სწყინს;

3) რომ სტიპენდიას ვუნიშნავ (და არა გმირობას ვანიჭებ) ერთ ახალგაზრდას, რომელიც შესანიშნავი სპორტსმენია, განათლებული და გულანთებული მოქალაქე;

4) ვთქვი, რომ ჩემი მეგობარი დღეს კინალამ მოკვდა და ამის მიზეზი არის ცილისწამებების დიდი და დაუნდობელი დელტა. რომ ეს უნდა შეწყდეს!

5) ვთქვი, რომ ხელი მაინც ყველას უნდა გავუწოდოთ!

ვთქვი და ყოველთვის ვიტყვი. თავს არ ვიმართლებ – ამაყი ვარ.

და ამის პასუხად მივიღე საშინელი ტალახი. მეორე მხარეს რატომ არ იცავო? მეორე მხარეს, მეგობრებო, სახელმწიფო დგას, დასჯის უზარმაზარი ბერკეტით. მწერლისა და მოქალაქის ვალია, იდგეს მმართველის ოპოზიციად და ეს ხელისუფალს უნდა ახარებდეს, თუ შეფხიზლებისგან უკეთეს შედეგს იგრძნობს.

ახლა საოცრად მშვიდად ვარ. გასაკვირად მშვიდად. შეიძლება იმიტომ, რომ თქვენმა წერილებმა (ათასობითაა – მართლა. ყოველ წამს მოდის და მოდის) დიდი ძალა მომცა. ამ ძალის განცდით დავიძინებ. მშვიდობიანი ღამე ყველას – მტერსაც და მყვარებელსაც. თქვენი გიორგი კეკელიძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპრომნოზი



21 მარტისათვის

**ვერძი** – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. **კური** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **ტყუპები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **ღრიანკალი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პორტუგალიის პარლამენტი; 2. ეგრისის მთავარი ქალაქი; 3. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 4. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 5. ისტორიული მოედანი ლონდონში; 8. მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი; 14. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 16. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 18. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 20. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 6. საკონდიტრო ნაწარმი; 7. სათამაშო სპორტის ოლიმპიური სახეობა; 8. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური კორპორაციის აბრევიატურა; 9. ყავის მოსადუღებელი სახელურიანი ჭურჭელი; 10. მგალობელი ჩიტი; 11. ნივთიერების დაშლა მაღალ ტემპერატურაზე; 15. ბარბადოსის დედაქალაქი; 17. „ნ.ბ.ა.“-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 19. ესპანეთის სამეფო-საგვარეულო დინასტია; 21. „გაეროს“ ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 23. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

